პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1937 წ. ნოემბერი
პარიზი
№ 75
1937 — NOVEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

დევნა ეროვნულ რესპუბლიკებში

ჩვენ უკვე ვწერდით საქართველოში ტერორის შესახებ. მაგრამ რუსეთში აგორებულ ტერორის ტალღა მოედო არა მხოლოთ საქართველოს, არამედ ყველა სხვა ეროვნულ რესპუბლიკებსაც. ტერორმა განსაკუთრებით თავი იჩინა ეროვნულ რესპუბლიკებში ამ უკანასკნელ ხანებში.

ხალხის მტრებათ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებათ არიან გამოცხადებული ციკას თავმჯდომარეები უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, ტაჯიკისტანში და უზბეკისტანში. შვიდ მოკავშირე ეროვნულ რესპუბლიკაში საბჭოთა კომისარიატის თავმჯდომარეები ან დაჭერილი, ან დახვრეტილი არიან. კოშმარული მდგომარეობაა ეროვნულ ავტონომიურ რესპუბლიკებშიდაც.

ხეირი არ დააყარეს არც ადგილობრივი კომპარტიების ხელმძღვანელებს. თუ ეს უკანასკნელნი ამ რამოდენიმე ხნის წინათ სხვებს მოღალატეთ, გამცემლებათ აცხადებდენ, მათ იჭერდენ და ხვრეტდენ, ეხლა თვითონ არიან გამოცხადებული გაიძვერებათ, დივერსანტებათ, საბოტაჟნიკებათ, ჯაშუშებათ და დასჯილი არიან ან უმაღლესი სასჯელით, ან ჩეკაში და ციხეებში იმყოფებიან.

და დიდი უმრავლესობა დღეს ყველა ამ განდევნილ და დასჯილ კომუნისტებისა კიდევ გასულ წელს კრემლში სტალინის სტუმრები იყვნენ, სტახანოველების, კომბაინერების, თუ სხვადასხვა ეროვნულ დელეგაციების წევრებათ ითვლებოდენ და სტალინის საქებ-სადიდებლათ გრძელ-გრძელ სიტყვებს ამბობდენ. ისინი მადლობას უცხადებდენ «ხალხთა მამას», «გენიალურ ბელადს» იმ «ბედნიერ და საამურ» ცხოვრებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირში მომწყვდეული ეროვნებები დღეს ეწევიან. და ყველაფერ ამას ლენინ-სტალინის ნაციონალურ პოლიტიკას აწერდენ. ეხლა, უმთავრესათ, სწორეთ ამ ხალხს სდევნიან.

რაშია საქმე? რა მოხდა? რით დაიმსახურეს ასეთი წყრომა სტალინის გუშინდელ მაქებარ-მადმერთებლებმა? რატომ იჩაგრება დღეს, განსაკუთრებით, ეროვნული რესპუბლიკები?

მიტომ, რომ მათ სერიოზულათ წარმოიდგინეს საბჭოთა კავშირის და რეჟიმის ფარგლებში ეროვნული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა.

მართალია, წლების განმავლობაში ბოლშევიკები ნაციონალურ პოლიტიკაზე ბევრს ლაპარაკობდენ და ზოგ რამეებში ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში ვითომც ლიბერალობასაც იჩენდენ. მაგრამ ყველაფერი ეს მათი ტაქტიკა და დივერსია იყო.

ბოლშევიკებს სურდათ დაპყრობილი ერების გული მოეგოთ და მათ შორის თანაგრძნობა და ნდობა მოეპოვებიათ. ამიტომ ისინი სხვადასხვა ეროვნებებს ხელს არ უშლიდენ მათ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლება მიეღოთ და კულტურულათ წინ წაწეულიყვნენ, ოღონდ ყოველგან საბჭოთა კავშირში ერები მოსკოვის მორჩილი და კრემლის ბრძანებების ამსრულებელი ყოფილიყვნენ. ადგილობრივ ინტელიგენციას უნდა ეწერა და პროპაგანდა გაეწია ხალხისათვის მშობლიურ ენაზე, რომ ამ გზით უფრო ადვილათ მოემხრო ფართე მასები მოსკოვის ხელისუფლების მხარეზე. მაგრამ ცხოვრებას თავისი ლოღიკა აქვს. რამდენათ ხალხი განათლებას ეწაფება, თავის ვინაობას ეცნობა და იგებს, იმდენათ ის თავის მეობას იმტკიცებს და იმკვიდრებს, სხვისაგან თავის განსხვავებას უფრო ხედავს და ეს სხვადასხვაობა, როგორც სინამდვილეში, ისე მის წარმოდგენაშიდაც დღითი-დღე იზრდება, ვითარდება.

საბჭოთა კავშირშიდაც ამ ათეული წლების განმავლობაში მოხდა სხვადასხვა ხალხთა ეროვნული განმტკიცება, მათი თავისებურობის კიდევ უფრო ჩამოყალიბება და თავისი საკუთარი გზით სიარულის მტკიცე მიდრეკილება.

მოსკოვს სრულიათ ეს არ უნდოდა და ის სავსებით მის საწინააღმდეგო მოვლენის წინაშე აღმოჩნდა. ამ ჩიხიდან გამოსვლა მან განიზრახა ეროვნულ მასწავლებელთა და ინტელიგენციის ძალით გაკომუნისტებით და მათი თავის მხარეზე გადმობირებით. მაგრამ ძალა ასეთ შემთხვევაში არ სჭრის. ძალით მუზა არ მოდის, ძალით ლექსები და მოთხრობები არ იწერების. ამიტომ სხვებთან ერთად ეხლა პოეტები და მწერლები ეროვნულ რესპუბლიკებში საბოტაჟნიკებათ და ხალხის მტრებათ გამოაცხადეს. ზოგი მათგანი ამისათვის თავსაც იკლავს და ამით ვითომც პროტესტს აცხადებს.

წინეთ ყველა დიდის ალტაცებით ლაპარაკობდა ნაციონალური რესპუბლიკების შინაარსით სოციალისტობაზე და ფორმით ეროვნულობაზე, და ეს იმიტომ, რომ ეს ლოზუნგი თვით მოსკოვიდან იყო გადმოსროლილი. ეხლა კი ეროვნულობა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმათ არის გამოცხადებული და ამისათვის დიდი სასჯელია დადებული. ამ მოვლენის წყაროა ის მეტათ მნიშვნელოვანი პროცესი, რომელსაც დღეს ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში.

უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ რუსის ერში ფეხს იკიდებს და თანდათან მძლავრდება ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთება და საბჭოთა რუსულ ნაციონალიზმის არა ერთ და ორ სიმპტომზე მიგვითითებია. დღეს კი ეს ნაციონალიზმი წელგამართული და მეტათ თავაღერილია. ამ დაავათმყოფებულ შოვინიზმის კონცეპციით რუსის ერი «რჩეულია», ის მუდამ იყო და დღესაც არის ძლევამოსილი. ამ მუდმივი ძლევამოსილობის პროპაგანდა საჭიროა, რომ მით მასებში აღზარდონ სამხედრო სიმამაცის თვისებები და კიდევ უფრო გაბერონ და აამაღლონ «ხალხთა ბელადის» და რუსეთის დიქტატორის ავტორიტეტი. საბჭოთა კავშირის გარეთ მყოფი ყველა ერები «მოძალადეებათ» და «მტაცებლებათ» და მისდამი მტრულათ განწყობილათ არიან დასახული. თვით საბჭოთა კავშირის შიგნით მობინადრე ერთა შორის რუსის ხალხი კი პირველ და ხელმძღვანელ ერათ არის გამოცხადებული.

წარსულში რუსის ერის ნაციონალური და ეროვნული გრძნობები არასოდეს ძლიერი არ ყოფილა, ეხლა კი ეს გრძნობები, წინაალმდეგ, მეტათ უმგვანო და ჰიპერტროფიულ ფორმებს იღებს და რუსულ მეგალომანიას საზღვარი აღარ უჩანს.

ამასწინეთ საბჭოთა რუსეთის ბლაჩუა «პრეზიდენტი»—კალინინი იმუქრებოდა, რომ «საბჭოთა მთავრობა არავის მისცემს უფლებას მარტო თავის თავი გამოაცხადოს ადგილობრივი კულტურის დამცველათ. გაქრა უნდობლობა ყოველივე რუსულის მიმართ, საბჭოთა კავშირის ხალხები მიბაძავენ რუსულ საქმიანობას, რუსულ ხელოვნებას, რუსულ მეცნიერებას და რუსულ ტეხნიკასა»-ო. «კომსომოლსკაია პრავდა» კი იძახდა, რომ საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკისტან-ტაჯიკისტანში რუსულ ენას ცუდათ სწავლობენ და ითვისებენ, ყველაფერ ამაში «მტრის ხელია» და ამას ეხლავე სასტიკათ უნდა შევებრძოლოთო.

საბჭოთა რუსეთში დღეს ორი ერთი მეორეს საწინააღმდეგო პროცესი სწარმოებს. ერთი მხრივ საქმე გვაქვს მოსკოვის დიდმპყრობელურ და ნაციონალისტურ პოლიტიკასთან, რომელიც დიდი სიჩქარით იცვლის შინაარს და ფორმას და დღითი-დღე უფრო და უფრო აგრესიული ხდება. თუ გუშინ კიდევ საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ რესპუბლიკებს «შინაარსით სოციალისტურ, ფორმით კი ეროვნულს» უწოდებდენ თვით ბოლშევიკები, დღეს ამაზე ლაპარაკი მეტათ სახიფათო საქმეა. მოსკოვს ეშინია დღევანდელ ადგილობრივ ძალებს ადგილობრივი კულტურის დაცვა და ამისი პასუხისმგებლობა დააკისროს. სახელმწიფოებრივ, თუ პარტიულ მთავარ პოსტებზე კიდევ გუშინ მდგარი ხალხი კრემლის ასეთი სიჩქარით ცვალებად პოლიტიკას შესაფერისათ ვერ ეგუება და ამიტომაც კრემლი მას აღარ ენდობა. ეს თაობა უნდა გადადგეს, განადგურდეს და გზა მიეცეს სულ ახალ ხალხს, რომელიც ყოველივე ტრადიციების გარეშე დგას.

რუსული შოვინიზმი პირბადეს იხდის და სამოქმედოთ აშკარად გამოდის.

მეორე მხრივ ეროვნული ძალებიც თავს იცავს და ირაზმება. ტერორისტულ ხელისუფლებას თანდათან სცილდება ისინიც კი, რომელნიც მისი მკიდრი დასაყრდნობი იყვნენ. ადგილობრივ ყოველგან საბჭოთა ბიუროკრატია მორალურათ კოტრდება და ირიყება.

დაპყრობილ ეროვნულ რესპუბლიკათა დღევანდელი ძალზე ცუდი მდგომარეობა თხოულობს მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირს და საერთო მოქმედებას. ეს მათი საერთო მოქმედება კი შესაფერის დროს და უფრო ხელსაყრელ პირობებს უცდის.

პ. გ.

თფილისის პროცესი

რუსეთის ერთი დიდი ქალაქიდან გვწერენ:

ამ დღეებში ხელში ჩამივარდა რამოდენიმე წუთით ერთი ფრიად საყურადღებო დოკუმენტი და ვისწრაფი გაცნობოთ მისი შინაარსი. ეს დოკუმენტია სტენოგრაფიული ანგარიში ბუდუ მდივანის, ნ. ქარცივაძის და მათ ამხანაგთა გასამართლებისა თფილისში. ამ ანგარიშიდან აშკარაა ბრალდებულთა მამაცური ყოფაქცევა, მათ მიერ ყველა ბრალდებათა უარისყოფა როგორც გამოძიების, ისე გასამართლების დროს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მენშევიკი ქარცივაძის პასუხი, რაც სიტყვა სიტყვით ამოვიწერე და გიგზავნით. მას თავმჯდომარე ეკითხება: «ცნობთ თავის თავს დამნაშავეთ იმაში, რომ ფაშისტური აგენტების საშუალებით კავშირი გქონდათ საზღვარ-გარეთ ჟორდანიასან, იყავით თავმჯდომარე სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და დაპირდით ბუდუ მდივანს დახმარება სტალინის და ბერიას მკვლელთა შოვნაში?» ქარცივაძე უპასუხებს:

«ყველა თქვენი ბრალდებანი სიცრუეა. სამწუხაროთ არ მქონდა საშუალება კავშირი დამეჭირა ჟორდანიასან, ხოლო ფაშისტებთან საქმის დაჭერა არასოდეს არ მსურვებია; არაფერი საერთო არ მაქვს არც ბუდუ მდივანთან. მე არ შემეძლო მქონოდა საერთო ენა იმათთან, ვინც გასცეს ჩემი და თავისი სამშობლო და დაიმონეს ის სტალინ-ბერიასან ერთათ თექვსმეტი წლის განმავლობაში. ჩემთვის დაბრალება ფაშიზმისა სასაცილოა, როცა თქვენმიერ ქებული საბჭოთა რეჟიმი გადაიქცა ფაშიზმის ყველაზე უარეს ფორმათ. თქვენ, ეგრეთ წოდებულ მოსამართლენო, ძლიერ კარგათ იცით, რომ მე დამნაშავე ვარ არა იმაში, რასაც მაბრალებთ, არამედ იმაში რომ მე არ გავყიდე ჩემი ხალხი, არ გადავცვალე ჩემი სოციალისტური რწმენა გაუგონარ ბარბაროსობაზე, რასაც თქვენ უწოდებთ კომუნიზმს; მეორეთ, თქვენ გინდათ სისხლი, გინდათ თქვენი უილაჯობის დამარცხების მიზეზი სხვებს გადააღვეთ. მე არაფერს ვიტყვი კომუნისტებზე, რომელნიც ბედის ირონიამ ჩემს გვერდით დასვა დამნაშავეთა სკამზე. ისინი არიან მსხვერპლნი იმ რეჟიმის, რომლის შესაქმნელათ თვითონ გასწიეს დიდი შრომა. მაგრამ მე და ჩემს გვერდზე მჯდომი ექიმი ელიავა თქვენი დამარცხების დასაფარავათ ვართ აქ მოყვანილი. ვიცი რომ ჩემი ბედი წინდაწინ გადაწყვეტილია, მაგრამ თქვენი პატრონები ნუ დაივიწყებენ, რომ ხმალის ამღებნი ხმალითვე დაიღუპებიან. იმ დღიდან როცა თქვენ დაიწყეთ ერთმანეთის ხოცვა მე დავინახე თქვენი სისხლიანი ბატონობის დაცემის მოახლოვება».

სამწუხაროთ სხვების სიტყვების გადაწერა ვერ მოვასწარი. განჩინება იცით ამასთანავე გადმომცეს რომ ამ პროცესში რადეკის როლი ითამაშა ს. ქავთარაძემ, ვითომ ის «გამოტყდა», ყველაფერი აღიარა და თავის ამხანაგებათ გასამართლებული და დახვრეტილნი დაასახელა. ყოველ შემთხვევაში, ეს პიროვნება სასამართლოსათვის არ მიუციათ და სიცოცხლე შერჩენილი აქვს, თუმცა აბრალებდენ იმასვე რასაც სხვებს.

ოქტომბერი.

სომეხთა შორის

2.

ჩვენ პირველ წერილს ამავე სათაურით («ბრძ. ხმა» № 70) გამოეხმაურა დაშნაკცაკანთა ორგანოები—«აირენიკ» და «უსაბერი». ეს ორი პასუხი ერთნაირი შინაარსით დიდათ განირჩევიან ფორმით. პირველში სავსებით დაცულია ლიტერატურული წესები, დინჯი ტონი და საგანზე შეჩერება. ხოლო მეორე გაჭიანურებულია ექვს ნომერში (№ 78, 80-84), სავსეა ლანძღვით, ინსინუაციებით, გულის მოსვლით, ხოლო სადაო საგანი კი ჩაფლული აქვს მთელ გროვა პოლემიკურ წვრიმალებში. რამდენათ ასცდენია ეს ორგანო საგანს სჩანს იქიდან, რომ პირველ მეთაურს უძღვნის გამოკვლევას იმისა, თუ ვინ არის ავტორი ჩვენი წერილისა! ლიტერატურული ზრდილობა, ალბათ შეითან ბაზარში აქვთ მიღებული. ჩვენ სრულიად არ გვსურს მას ამ ხაზზე გავყვეთ, დიდი ისტორიული პრობლემა ორ პირთა დავათ გადავახურდავოთ და მით საღ მეზობლურ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ზურგი შევაქციოთ.

რაშია საქმე?

საქმეა შემდეგში: ამ მიმდინარე რთულ პერიოდში, როცა ყოველი მხრიდან ცეცხლის ალი იხედება, ხოლო თვით საბჭოთა წყობილება დანგრევისაკენ ჩქარის ნაბიჯით მიექანება, როცა ყველა მოსკოვის მიერ ჩაგრული ერები და მათი პასუხისმგებელი ორგანიზაციები ერთ მთლიან ფრონტს ადგენენ, ერთათ ირაზმებიან და ერთი მიზნისაკენ ხელიხელ ჩაკიდებული მიიწევიან, ერთათ ერთი ერი—სომხობა და მისი მთავარი პასუხისმგებელი ორგანიზაცია—დაშნაკცუტუნი ამ ერთობის გარეშე დგანან, ამ ფერხულში არ დგებიან, ჩაგრულ ერთა ფრონტს გაურბიან და სრულ იზოლიაციაში რჩებიან. რატომ, რით აიხსნება ეს საოცარი განდგომა, ეს შეგნებული პოლიტიკური თვითმკვლელობა? ამის პასუხი ჩვენ ამოვიკითხეთ მათივე ორგანოებიდან და ვთქვით—მიზეზია მათი ორიენტაცია რუსეთზე. ისინი ახლა უარს არ ყოფენ თავიანთ ნაწერებს, არ ცდილობენ ორიენტაცია შესცვალონ, კავკასიის ფრონტისაკენ ნაბიჯი გადადგან, მაგრამ იძლევიან ახალ განმარტებებს, ხსნიან კიდევ ერთხელ თავიანთ უარყოფით პოზიციას. ჩვენ ვსწერდით: «კავკასია უჭირავს რუსეთს და არა ოსმალეთს, ჩვენი მიზანია ამ ტყვეს განთავისუფლება მისი ბატონისაგან». ისინი გვიპასუხებენ: «ოსმალეთმა დაიპყრო ბათუმის ოლქის უდიდესი ტერიტორია», «მთელი ყარსის ოლქი» და სხ. სრული ჭეშმარიტებაა, ფაქტებზე დავა არ გვაქვს, მაგრამ როცა ისინი ათანასწორებენ ორ სხვადასხვა ზომის მოვლენას—კავკასიის დაპყრობას მის განაპირა პროვინციების დაკავებასან—ამით სავსებით მრუდდება როგორც პოლიტიკური გეზი, ისე სინამდვილე. იშვიათია ორი მეზობელი სახელმწიფო, რომელიც ერთიმეორეს არ ედავებოდეს საზღვრებზე. გერმანია ედავება ჩეხო-სლოვაკიას, ვენგრია რუმინიას, იუგოსლავია იტალიას და სხ. და სხ. ეს დავა უნდა გადაწყდეს მომავალში მოლაპარაკებით, არბიტრაჟით, პლებისციტით თუ სხვა კულტურული ზომებით. მაგრამ ამისათვის საჭიროა ჯერ არსებობდეს თვით სუბიექტი, მოდავე ერთეული, რომელიც ეძიებს თავის ბუნებრივ საზღვარს. ასეთი ერთეულები აქ, ევროპაში, არსებობენ; ჩვენში კი ეს ერთეული უჭირავს რუსეთს. თავისუფალი კავკასია თვითონ გამონახავს გზებს თავისი საზღვრების საკითხის მოსაგვარებლათ, დღის წესრიგში დგას სწორეთ კავკასიის განთავისუფლება. «აირენიკ»-«უსაბერი» კი პირიქით, ეძიებენ ჯერ დაკარგულ პროვინციებს, მათ მნიშვნელობას უთანასწორებენ მთელი კავკასიის დაკარგვას და იხრებიან რუსეთისაკენ! «აირენიკი» ამ საბუთს უმატებს მეორეს—რუსეთი ფიზიკურათ მაინც არ სპობს არა-რუსებს, ხოლო ოსმალეთი სპობს ყველა არა-თურქთო. არ სჩანს რომელ ოსმალეთზეა ლაპარაკი, ახალზე თუ ძველზე. ჩვენ არ გვსმენია დღევანდელ ოსმალეთში ერთა ფიზიკურათ განადგურება. მაგრამ დაუშვათ ამ მოვლენის შესაძლებლობა. ვის შეუძლია ამ მოვლენას შეებრძოლოს, თანამემამულეებს პატრონობა გაუწიოს, მათზე გული შესტკიოდეს თუ არა თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ სომხეთს, აზერბაიჯანს—მთელ კავკასიას? რუს რა ენაღვლება არა-რუსთა ბედი უცხოეთში? პატარა განთავისუფლებულ საბერძნეთმა, რომლის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 300-400 ათას, უპატრონა 14 მილიონ თავის თანამემამულეთ და ბოლოს მათი ტერიტორიაც შემოიერთა. ერის პატრონი თვით ერია, სხვა ერზე იმედის დამყარება ქვიშაზე აგებული შენობაა. ეს გამოსცადა თვით სომხის ერმა, რაც ასე მსუბუქათ ავიწყდება დღეს დაშნაკელთ.

ასეთივე ხასიათისაა «უსაბერის» მტკიცება, რომ ჩვენ ვითომ აღარ ვსცნობთ 1914 წ. საზღვრებს და უარსვყოფთ 1921 წ. დადებულ «ხელშეკრულობას» კავკასიის ოთხ ერთა შორის. ასეთი ხალხი მან მოიკითხოს «კავკაზის» ბანაკში, რომელსაც თვითონ ის აქებდა და ჩვენს წინ აყენებდა. ჩვენ არც ხელშეკრულობას უარსვყოფთ, არც ახალ საზღვრებს ვცნობილობთ. უარსვყოფთ მხოლოდ დაშნაკელების გზას, მათ ტაქტიკას, მათ გადაბრუნებულ პოლიტიკას. და თუ მართლა ისინი გაურბიან კავკასიის მთლიან ფრონტს ამ იურიდიული მოსაზრებით, თუ ორიენტაციას შეიცვლიან ამ დაბრკოლების აცილებით, ამდენ ხანს ჩვენ და მათ წყალი გვინაყავს, ორ ხეს შორის დავბნეულვართ. ჩვენ ვიცით, რომ კავკასიელთა მხრით გადადგმულ ნაბიჯზე სომხების კონფედერაციაში შემოსაყვანათ, მათ სრული უარით უპასუხეს ლაპარაკის დაწყებაზედაც. მათ არ მოისურვეს აზრების გაცვლა-გამოცვლაც კი. და რომ მართლა დამაბრკოლებელი მიზეზი 1921 წლის დეკლარაციის, და არა ხელშეკრულობის, ინტერპრეტაციაში იყოს, განა ისინი ამ საბუთს არ ახსენებდენ და მის გზიდან აცლას პირობათ არ წამოაყენებდენ?

არა, საჭირბოროტო საკითხს უფრო სერიოზული პასუხი ეჭირვება; უთანხმოების მიჩქმალვა ასე ზერელეთ არ შეიძლება.

ჩვენ გვესმის ერთი საბუთი, ერთი იმედი რითაც ისინი სულდგმულობენ. დიდი რუსეთი შეიჭრება ოსმალეთში და განდევნილ სომხის მოსახლეობას ტერიტორიას დაუბრუნებსო. ეს იმედი უფრო გავს ოცნებას, ვინემ რეალურ პოლიტიკას. გარდა გზადაბნეული რუსის ემიგრაციისა, დღეს აღარავის სჯერა ძველი რუსეთის აღდგენა და გამოღვიძებული ერების ძველ მონობაში ჩაბრუნება. ეს რუსეთი მოკვდა სამუდამოთ, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება ისტორიის გარდაუვალი კანონია. ყველა სასიცოცხლო პოლიტიკური მიმდინარეობა ამ მსვლელობას უნდა უთანაბრებდეს თავის იმედებს, თავის ნაბიჯებს, თავის დროშას და ბრძოლას. დაუშვათ დაუშვებელი, წარმოვიდგინოთ აღსდგა ძველებური იმპერიალისტური რუსეთი, რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დაპყრობილ ოსმალეთის სომხეთში მოსკოვი ჩამოასახლებს სომხებს ამერიკიდან და არა რუსებს რუსეთიდან? აშკარაა, დაშნაკცაკანური პოლიტიკა რომანტიული სულისკვეთებაა.

ამნაირათ, რასაც დაშნაკელები განდგომის მიზეზათ საჯაროთ ასახელებენ—ეს უფრო მომიზეზებაა და არა საბუთიანობა, ხოლო რასაც არ ასახელებენ და მიჩქმალულათ ასაღებენ—ეს კი უტოპიაა, უტოპია საბედისწერო და საშიშარი. ამ ოცნებით შეპყრობილნი ჩვენ ძალთა განწყობილებას ფანტასტიურათ ახასიათებენ და თავის განდგომის საფუძველს ამ ხაზზედაც ეძებენ. «უსაბერის» აზრით ჩვენ ვყოფილვართ დანაწილებული სამათ: კავკასიის კონფედერაციის მომხრენი, კმაყოფილნი სამხრეთში არსებული საზღვრებით; «კავკაზის» ბანაკი, ოსმალეთის მომხრე და 1921 წლის ხელშეკრულობის უარისმყოფნი და მესამე «სომეხ-ქართველთა უნიონი», რომელიც «საფრთხეს ხედავს როგორც ჩრდილოეთში ისე სამხრეთში ერთნაირათ და რჩება ერთგული 21 წლის პირობისა». ჩვენი ძალთა დანაწილების ასე მრუდეთ წარმოდგენა ნიშნავს დაშნაკელთა ინფორმაციის სრულ სიღატაკეს. სინამდვილეში კი ყველამ ვიცით, რომ «კავკაზის» ბანაკი სრულ არარაობას წარმოადგენს. მასში მოკალათებული ორი-

ოდე ქართველი არავითარ მიმდინარეობას და ორგანიზაციას არ ხატავენ. ხოლო «უნიონში» შედიან ორათ-ორი უდისციპლინო ქართველი. ქართველობა მთლიანათ, მისი ყველა სასიცოცხლო დაჯგუფება ემიგრაციაში, ხოლო სამშობლოში მთელი ხალხი დგას კავკასიის მთლიანობის ნიადაგზე, აღიარებს საქართველოს ტერიტორიის განუყოფლობას მაგრამ ამავე დროს ისინი არ სტირიან თმაზე როცა თავს სჭრიან. ურემის დასაძრავათ საჭიროა ხარები მას წინ ებას და არა უკან.

ცხადია, «უსაბერ»-«აირენიკის» საბუთები კავკასიის კონფედერაციის წინაალმდეგ არის უბრალო მომიზეზება, თავისი პასივობის დაფარვა და გაღმა-გამოღმა გადავებით ნამდვილი უთანხმოების დაბნელება. უკეთესი იყო მათ ამდენი წერილები არ ეწერათ და პირდაპირ ეთქვათ მოლა მასრადინასავით: ჩვენ თქვენთან კავშირი არ გვსურს, ხოლო მიზეზს რას წამოვაყენებთ რა თქვენი საქმეაო. ეს იქნებოდა სწორი, მოკლე და გულწრფელი პასუხი.

რამდენიმე მაგალითი «უსაბერის» პოლემიკური თაიგულებისა. ის გვეკითხება, თუ ბრძოლა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წინაალმდეგ მიგაჩნიათ ბრძოლათ საქართველოს წინაალმდეგ, რატომ ასევე არ ფიქრობთ ჩვენს შესახებო. ამის თქმის უფლება მათ დაკარგეს იმით, რომ სწორეთ მათ დაიწყეს კამპანია ჩვენ წინაალმდეგ და ჩვენ იძულებული გაგვხადეს გადმოსროლილი ხელთათმანი აგვეღო. «უსაბერის» ლოღიკით მას შეუძლია გვლანძღოს დაუსრულებლივ, ხოლო ჩვენ გვიტოვებს უფლებას ვისმინოთ და გავჩუმდეთ. ამ უსაფუძვლო საყვედურს მოსდევს «უსაბერის» პარტიის ქებათა-ქება, მისი ძლიერება სომხის ხალხში, მენშევიზმის დაცემა ქართველ ხალხში და სხვა ასეთი ტრაბახობა. კარგი იყო ამ გაზეთს დაენახვებია რა გაუკეთა მისმა პარტიამ სომხის ხალხს, რა დადებითი სამსახური გაუწია და თუ ახლა მაინც ამ საკითხზე დაფიქრდება სატრაბახო აღარაფერი დარჩება. ის გვისაყვედურებს, რომ რამკავარ-ჩობანიანი მის ბანაკს მივაწერეთ და მისი მუშაობის პასუხისმგებელი გავხადეთ. ავიწყდება კი რომ ეს პასუხისმგებლობა თვითონ მათ მიიწერეს და ჩვენ მხოლოდ ეს აღვნიშნეთ. სწორეთ მათი ლიდერთაგანი ბ. ვრაციანი სწერდა «არაჩში» (24 დეკემბერი, 1636 წ.), რომ ჩობანიანს «ქონდა პოლიტიკური მამაცობა მართლა სომხური საქმე დაეყენებია საბჭოთა მთავრობის წინაშე»; ეს ცდა გათავებულა დამარცხებით; სტალინი, აცხადებს იგივე ავტორი, «სომხების მოთხოვნილებას ზიზღით აფურთხებს» და სხ. აი ეს ადგილი «არაჩისა» მოვიყვანეთ ჩვენს გაზეთში, საიდანაც ბრმაც კი დაინახავს ჩობანიან-დაშნაკელების აზროვნების აღძრულ საკითხზე ერთიგივეობას. ხოლო საკითხი კი ეხებოდა სხვადასხვა ტერიტორიების ჩამოჭრას საქართველოდან და სომხეთისათვის გადაცემას. მათ გაუთანასწორეს ბოლშევიკური ხელისუფლება საქართველოს ნაციონალურ ხელისუფლებას და გამოაცხადეს «თავდასხმა ქართველ ნაციონალისტებისა (ე.ი. ბოლშევიკებისა) საბჭოთა სომხეთზე და მის კულტურაზე», ხოლო სომეხ კომუნისტების დატყვევება აღიარეს «განსაკუთრებით ბედათ სომხეთისა» რომელნიც იდევნებიან ქართველებისაგან იმიტომ რომ «სომხეთის მიწები უკეთ შეუღლაპონ». ეს ასე იყო ამ რამდენიმე თვის წინ, ახლა კი «უსაბერი» საქართველოს მეგობრობაში და სიყვარულში გვეფიცება. ამ შებრუნებას ჩვენ აღვნიშნავთ სიამოვნებით, თუ ის გულწრფელი და ხანგრძლივია... კმარა, «უსაბერის» საპოლემიკო წესები ნათელია; გულისმოსვლით და მიფუჩეჩებით სადაო საკითხები არ გაირკვევა.

მთელი ამ პოლემიკური შემოტევისაგან ჩვენ ერთი კონკრეტული წინადადება მაინც მივიღეთ, ისიც არა «უსაბერისა», არამედ «აირენიკისაგან». ის ასე ათავებს თავის წერილს:

«ჩვენ უარს ვამბობთ კავკასიურ გაერთიანებაში შემოვიდეთ იმიტომ რომ ჩვენი მეზობლები პატივს არ ცემენ 1921 წლის ხელშეკრულობის პირობებს. ქართული გაზეთი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ თუ ხვალ კავკასიური მეზობლები მოინდომებენ დაუბრუნდენ ამ შეთანხმებას, რაიცა ერთათ-ერთი პირობაა თანამშრომლობისა, ჩვენ ვიქნებით მათ გვერდით როგორც ერთგული მოკავშირენი». კარგათ ნათქვამია, დაპირება კატეგორიულია; ახლა საჭიროა ვიცოდეთ იზიარებს ამ წინადადებას «უსაბერი» და მათი მთავარი ორგანიზაცია თუ არა, თუ იზიარებს შესაფერი ნაბიჯიც მოყვება და მოლაპარაკება დაიწყება. ვნახოთ...

◆

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

რას დღესასწაულობს თავის ბატონობის ოცი წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლება? ის აჯამებს 20 წლის მიღწევებს და მთელ კაცობრიობას უსირცხვილოთ ამცნობს საბჭოთა ქვეყანაში სოციალურ სამართლიანობაზე დამყარებულ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის შექმნას. რამდენათ ღრმავდება ორმო ფართე ხალხის ინტერესთა და გაბატონებულ წრის შორის, იმდენათ დაქირავებული პრესა ირწმუნება ბედნიერ და საამურ ცხოვრების დაწესებას. თებერვლის რევოლიუციის პოლიტიკურ შეცდომებმა გზა გაუხსნეს ლენინის ტახტზე აყვანას. თვით ომისგან მოქანცული და თვითმპყრობელობიდან განაწამებ რუსეთის მშრომელი მასების შემწეობით შესაძლებელი გახდა ბოლშევიკური ექსპერიმენტების გათამაშება. მას შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა. შორს წაგვიყვანდა ყველა პოლიტიკური ეტაპების აღნუსხვა. სოციალიზმის სახელით უფლება აეყარა მუშასა და გლეხს, მათ აეკრძალათ თავიანთ ინტერესების დაცვა. ყოველი საპროტესტო ხმა ცეცხლითა და მახვილით იქნა აღგვილი. დაწყებული კრონშტატის აჯანყებულთა გაწყვეტით, რომელთაც უდიდესი მონაწილეობა მიიღეს ლენინის პარტიის გამარჯვებაში, გათავებული საკუთარ ოქტომბრის პიონერთა ძველი ბოლშევიკური გვარდიის სასაკლაოზე მიდენით, ნელ-ნელა გზა გაიკაფა სტალინის პიროვნულმა რეჟიმმა. ოცი წლის მანძილზე არ შეწყვეტილა უდანაშაულოთა ჟლეტა. მშრომელთა ლეგიონის, ხალხის უბრალო შვილთა გულები გაგმირა ჯალათების ტყვიამ. ჩეკის სარდაფებმა, თუ ციმბირის ცივმა კუთხემ იმსხვერპლა უდანაშაულოთა სიცოცხლე. ბრძოლა შეუნელებელი, მძაფრი, სამკვდრო-სასიცოცხლო კი კვლავ გრძელდება ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ის იხატება მრავალ ფორმებში. თავის ბატონობის შენარჩუნებით გატაცებული, უფლებით მთვრალი, პრივილეგიურ მდგომარეობაში აღზდილი წრე ცდლავს ადამიანის სიცოცხლეს. მაგრამ მტერი დაბუდდა ყველგან, შეიჭრა თვით დიქტატურის გულში, შეუქმნა მას სულის შფოთვა, შიშისგან მტერი ეჩვენება ყველა ახლო თანამშრომელში, გორავს ეჭვების ტალღა, რომლის ხკადებში დიქტატურა იკაფავს ჯერ-ჯერობით გზას, გვერდში იყენებს სულმდაბალთ და მორჩილთ, რიყავს, დევნის, სიცოცხლეს ასალმებს გონება-მახვილს, კრიტიკულათ მოაზროვნეს. სადღესასწაულო წერილებში განხორციელებულ სოციალიზმზე, გლეხებისა და მუშების სრულ ბედნიერებაზე ლაღადებს დღეს მთელი საბჭოთა პრესა. 150 მილიონი ჰექტარი მიწა ჩამორთმევია მემამულეთ (1 ოქტომბერი, «პრავდა»). მაგრამ არსებითათ განა ის გლეხობას გადაეცა?!. მას დაეპატრონა სახელმწიფო და თავის ვეებერთელა აპარატის გამოსაკვებათ გლეხობა შეაბა უღელში.

კოლხოზ-სოვხოზების შემოღების წინაამდეგ აღმართული გლეხთა აჯანყებები უკრაინაში, ციმბირში, კავკასიაში განა არ ამტკიცებენ გლეხობის სრულ უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი? ეს მტრული განწყობილება ერთი დღითაც არ შენელებულა. ხელისუფლების უკან დახევა, ფაქტიურათ სოვხოზების გაუქმებით და კოლხოზების დატოვებით სრულებით არ შეცვლილა მდგომარეობა. საკოლმეურნეო ცხოვრებას განაგებს «კომ-იაჩეიკა», ბრიგადირები და მით დიქტატურას ეძლევა სრული საშვალება კონტროლი გაუწიოს გლეხის ნაშრომსა და მონაწევს. «დამისახელეთ ისეთი ქვეყანა—აცხადებს სტალინი—კოლმეურნეთა ყრილობაზე, სადაც მთავრობა მხარს უჭერდეს არა კაპიტალისტებსა და მემამულეებს, მხოლოდ ჩვენში საბჭოთა ქვეყანაში არსებობს მთავრობა, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშებსა და გლეხებს». შეიძლება ხელისუფლება მართლაც ეხმარებოდეს სასოფლო მეურნეობას, მაგრამ არა გლეხების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლათ, არამედ მათგან მეტი ნაშრომის გამოსაწოვათ, საკუთარ ბიუროკრატიისა და ჯარის კვებით უზრუნველსაყოფათ. განა გლეხობა ისე გაბრიყვდა, რომ აჯანყებას აწყობს გაბედნიერებულ ცხოვრების წინაამდეგ. განა ყოველდღიური მტკიცება სჭირდება მას ხვნის, თესვის, მოკრეფის მოსახდენათ, გული რომ ავარდნია, შრომის ხალისი დაუკარგავს და მავნებლობისთვის ხელი მიუყვია?!

დაპყრობილ საქართველოში, როგორც მოსკოვის სააგენტოს ფურცელი «კომუნისტი» გვამცნობს საკოლმეურნეო წესდება ქაღალდზე რჩება, არ ხდება შრომის დღის აღრიცხვა, მუშამ არ იცის თუ რამდენი ნაშრომი ეკუთვნის კვირის ბოლოს. მათი ბედი ბრიგადირებისა და თავმჯდომარეთა ნებასურვილზეა დამოკიდებული, მათ კომპარტიის ბილეთი უდევს ჯიბეში, საქმეს დროზე აჭახრაკებენ წესდების მე-15 მუხლი ითვალისწინებს ნორმაზე მეტის დამზადებლისთვის ჯილდოს მიცემას. ნორმაზე ნაკლებისთვის—ჯარიმას. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხი წელში უნდა გაწყდეს, დილიდან საღამომდე ოფლი ღვაროს, რომ ნორმაზე ნაკლები არ გამოუვიდეს ნამუშევარი და მით მავნეთა რიცხვში არ მოექცეს. თავმჯდომარეები ანაწილებენ მოსავალს არა გაწეულ შრომის მიხედვით, არამედ საჭიროების მიხედვით. ე. ი. თავმჯდომარე—ბრიგადირი ზომავს გლეხის ოჯახის წევრების მადას, მათი კუჭის სიგანიერეს და მათი ლუკმის სიგრძეს. აი ასე ეხმარება საბჭოთა ხელისუფლება გლეხობას.

აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ სტალინის მიერ ათვალისწინებულ დასავლეთის და სკანდინავიის დემოკრატიულ ქვეყნებში მთავრობანი და საკანონმდებლო დაწესებულებანი განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობიან სასოფლო მეურნეობის აყვავებას და გლეხობის ცხოვრების პირობებს. მათ კანონით მინიჭებული აქვთ თავიანთ ინტერესების დამცველ ორგანიზაციების დაარსება. არსებობს ქსელი საწარმოვო კოოპერატივთა. მთავრობა იცავს გლეხობას სპეკულიაციისაგან და აწესებს ნიხრს მოსავლის მთავარ საგნებზე. დაქირავებულთ აქვთ საშვალება დაიცვან შრომის პირობები სინდიკატების დაარსებით. სარგებლობენ შრომის კანონმდებლობით. რამდენი ნაკლიც არ ახლდეს დემოკრატიულ ქვეყნების სასოფლო ეკონომიურ პოლიტიკას, ის მაინც არ აწესებს გლეხობისთვის იმ მონურ პირობებს, რასაც რუსეთში ადგილი აქვს.

მეორეს მხრივ, თუ ქალაქის მშრომელი მასები, ქარხნის მუშა ასე გაბედნიერდა, საამურ ცხოვრების მორევში ცურავს, რატომაა, რომ არც ერთი დასახული გეგმა არ სრულდება, რაზედაც ყოველდღიურათ წუწუნებს საბჭოთა პრესა. რატომაა, რომ რუსეთის მთავარ სამრეწველო ცენტრებიდან მუშები ათასობით გარბიან! ამას ხომ თვით პროფ. კავშირების ორგანო «ტრუდ»-ი აღიარებს! წარმოება ეცემა, თვითღირებულება მუდმივათ მატულობს. ხელისუფლებასა და მუშებს შორის თანამშრომლობის უკანასკნელი ძაფები დიდი ხანია გაწყდენ. და აი საოქტომბრო დღესასწაული ერთი საშვალებაა ათასგვარ შეჯიბრებათა გასაახლებლათ. იწყება სტახანოველ ტიპების წაქეზება, ერთეულთა შექება, მათი სურათის გაზეთის ფურცელზე გამოჭიმვა.

საქართველოში საოქტომბრო ლაშქრობას ჭიათურა იწყებს. კომკავშირელ გელაშვილს ერთ დღეს 5 კაცის ნორმაზე გადაუჭარბებია, მეცხოვრიშვილს 10 ტონის მონგრევის მაგიერ 76 ტონი მოუნგრევია. შეუძლებელია რომელიმე ოდნავ კულტურულ ქვეყანაში დღეს მსგავსი შრომის პირობები არსებობდეს, როცა ერთი პირი ხუთი კაცის სამუშევარს ასრულებს. ასევეა მრავალ სხვა შრომის დარგში: ჩაის მოკრეფის ნორმა ყოფილა 8 კილოგრამი დაწესებული დღეში—ხოლო ზინა თოდუა კრეფს—60-70 კილოგრამს. ასეთი მაგალითები გამონაკლისნი არ არიან. ისინი მოვიყვანეთ მხოლოდ საილუსტრაციოთ. საოქტომბრო შეჯიბრებაში უნდა მონაწილეობა მიიღონ ყველა ქარხნებმა, ფაბრიკებმა, ბრიგადირებმა. უნდა გამოჩნდენ ახალი გელაშვილები. დღესასწაულია გამართული მუშის დარგზე მისაბამათ, მისი ფიზიკური შრომიდან—მაქსიმალური ნაყოფის მისაღებათ. საკოლმეურნეო შემოსავლიდან მომეტებული ულუფის გამოსაგლეჯათ. ადგილობრივი ბობოლები დეპეშით ატყობინებენ ბერიას—დანიშნულ ადგილზე მომეტებული პროცენტებით შემოსავლის ჩაბარებას. ბერიაც მოსკოვს დეპეშით აცნობს. გლეხს რჩება ნამცეცები. მხოლოდ მშრომელთა საერთო გამოკვება კვების სახალხო კომისარიატს აქვს მინდობილი შინა-ვაჭრობის კომისარიატის საშვალებით. კვების ინდუსტრიაში 350 მილიონი მანეთი ყოფილა დაბანდებული. პირველი მოხმარების საგნები კი ისევ საძებარი ხდება მცხოვრებთათვის, როგორც ათიოდე წლის უკან. ამავე დროს ორივე კომისარიატები ავსებულა მტაცებლებით. მარტო 1937 წლის განმავლობაში ცეკავშირის გზით გაფლანგულა 3 მილიონი მანეთი, აფხაზეთის ცეკავშირში 180 ათასი მანეთი. იმავე აფხაზეთში შინავაჭრობის გზით 202 ათასი მანეთი. აჭარაში 215 მანეთი. თფილ-ვაჭრობაში 148 ათასი მანეთი. ხაშურში 70 ათასი, ყვარელში 91 ათასი მანეთი. თფილისში, ზუგდიდში, ქუთაისში და სხვა ადგილებში 100 ათასი მანეთი. სატრანსპორტო ვაჭრობაში 200 ათასი მანეთი. ჭიათურაში 5 ათასი, ოსეთში 200 მანეთი. არ არის დარჩენილი არც ერთი ოდნავ მოზდილი დაბა-ქალაქი. სადაც საბჭოთა სხვა სავაჭროებში რამოდენიმე ათასობით გაფლანგვა არ ხდებოდეს. მთელი საქართველო მტაცებლური ქსელითაა მოცული. რეპრესიების სიძუნწეში ბრალს ვერ დავდებთ მოსკოვის «ნამესტნიკს». მაშ რაშია საქმე? მტაცებლის და მფლანგველის უმთავრეს როლში თვით სახელმწიფო, მისი აპარატი, გაბატონებული წრე გამოდის. ის ანაღდებს ხალხისგან ნაგლეჯს—მონატაცებს, მშრომელის ოფლით მონაპოვარს. მტაცებლურ ფსიხოზშია გახვეული მთელი აპარატი, ბიუროკრატია. თვითეული მოხელე უბრალო რგოლია ამ აპარატში. გაფლანგვა, დატაცება ლოღიკური დასასრულია მტაცებლური ეკონომიური სისტემის.

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ

(ამხ. კ. გვარჯალაძის მოხსენება პარიზის სოციალ-დემოკ. ორგანიზაციაში)

თავის მხატვრულ ნაწარმოებებში, არის ის ლექსები, პოემები, თუ მოთხრობები, ილიას დასახული აქვს ორი მთავარი ამოცანა: 1) საქართველოს თავისუფლება, მისი სუვერენული უფლებების აღდგენა, ბატონყმობის გაუქმება, 2) შრომის განთავისუფლება და ქვეყნათ «შრომის სუფევის» დამკვიდრება. ეს ორი პრობლემა—სოციალური და ეროვნული—არის ილიას, როგორც მხატვარის მთავარი საზრუნავი საგანი.

მის მოთხრობებში ილია ილაშქრებს ბატონყმობის წინაალმდეგ და მთელი მისი ნიჭის სიძლიერით ააშკარავებს ამ წყობილების უვარგისობას და სიდუხჭირეს. იქ ყოველგან მშვენივრათ დასურათხატებულია ბატონის უსაქმობა, სიზარმაცე, მისი ცხოვრების უშინაარსობა და უაზრობა, ცრუმორწმუნეობა, სულიერი და გონებრივი სიღატაკე («კაცია ადამიანი»).

«გლახის ნაამბობში» ილია გველაპარაკება ორი წოდების ერთიმეორის წინაალმდეგ დაპირდაპირების შესახებ და დათიკოს სახით გვიხატავს ბატონის ველურ ინსტინქტებს და ზნეობრივ გახრწნილებას.

ილია სასტიკათ გმობდა ბატონყმობას, რომელიც აიძულებდა პატიოსან და მშრომელ გლეხს მიეტოვებინა მისი სახლკარი, ოჯახი, გამხდარიყო ყაჩაღათ, ტყეთ გავარდნილიყო და იქ ებრძოლა მას თავისუფლების და სამართლიანობის დასაცავათ («კაკო ყაჩაღი»). ილია ბატონყმობის შეურიგებელი მტერი იყო, ის კაკოს და ზაქროს მხარეზეა და კაკოს პირით ამართლებს კიდევაც ზაქროს ტერორისტულ მოქმედებას მოძალადე თავადის წინაალმდეგ.

ილიას აზრით წოდებათა შორის დიდი უფსკრული სუფევდა და მათ შორის ხიდის გადება შეუძლებელი იყო. აკი ის «გლახის ნაამბობში» გაბროს ათქმევინებს: «რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება?»

ზემოთ დასახელებულ ილიას მოთხრობებში ყველა ტიპები თავად-აზნაურული წოდებიდან არადადებითი და უაღრესათ ანტიპატიური არიან, გლეხობის წრიდან კი, წინაალმდეგ, ყოველა ტიპები ილიას დიდის თანაგრძნობით ყავს გამოყვანილი.

ილია დარწმუნებულია, რომ მომავალი «მდაბიო» ხალხის არის, რომ ბრძოლაში ის გაიმარჯვებს, მისი პიროვნება, მისი შრომა განთავისუფლდება, «შრომის სუფევა მოვა მაშვინა» და «უქმ სიტყვებათ არ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთ მოყვარება და სათნოება».

ბატონ-ყმობის და წოდებათა მოსპობის აუცილებლობის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით წამოყენებულია ილიას საუკეთესო ნაწარმოებში—«აჩრდილში». ილიას ეჭვი არ შედის, რომ «ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას, ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას», რომ დაიმსხვრევა ადამიანთა შემბორკველი ბორკილები და ახალ ნერგზედ ახალი ცხოვრება აყვავდება.

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ პოეტურ ნაწარმოებთა ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მდიდრულათ მოცემული ნაციონალური მოტივები. ილიას დიდი დამსახურებაა ის, რომ მის წინათ ხანებში მივიწყებული სიტყვა «მამული», რომელიც «უძრავ ქონების სახელამდე» იყო ჩამოქვეითებული, ხელახლათ მთელი თავისი «გულთ მიმზიდველობით გამობრწყინდა» და მას მიეცა შესაფერისი ღრმა შინაარსი. მამული, მისდამი სიყვარული და კარგი მამულიშვილობა გახდა ილიას პოეტურ შემოქმედების უმთავრესი საგანი.

ილია არ იყო პროვინციალური პატრიოტიზმის მომხრე, ის არ უმღეროდა მხოლოთ ქართლს, ან ხევსურეთს, არამედ მას აინტერესებდა მთლიანი საქართველო განურჩევლათ მისი სხვადასხვა ნაწილებისა. ის ნატრობდა იმ დროს, როცა საქართველოს ცალკე პროვინციები გაერთიანდებოდენ, «ეს ტოტნი ერთი ცხოვრების, ერთი არსებისა, ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარეთ შეერთდებიანო».

იმავე «აჩრდილში» ილია დიდის სიამაყით იგონებს ქართველი ერის წარსულს, მის გმირებს, სევდით აღნიშნავს მის დაკნინებულ და დაცემულ აწმყო მდგომარეობას და უსურვებს ქართველთ სამშობლოსადმი ნდობა-სიყვარულს და «მშვენიერი მამულის» აღდგენას.

ილია არ კმაყოფილდება წარსული ცხოვრების მოგონებით და გოდებით, ის არ არის ვიწრო, განყენებული რომანტიკოსი, მან კარგათ იცის, რომ უბრალო გოდებით საქმე არ გაკეთდება. ის მიმართავს ქართველთ «ქართვლის დედას» პირით და მოუწოდებს მათ ახალ გზაზე გამოსასვლელათ: «მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულა, რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა; ჩვენ ახლა უნდა ვდიოთ სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს». ეს მომავალი კი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენაა.

«მგზავრის წერილებში» ილია ალაპარაკებს გლეხ მოხევეს, რომელიც ამბობს, რომ, რაც რუსეთის ხელში ვართ, ყველაფერი წახდა და ყველაფერი მოისპო, წინათ ავათ თუ კარგათ «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნა» და ამიტომ უკეთესი იყოო. რაც შეეხება იმ მშვიდობიანობას, განაგრძობს მოხევე, რომელიც ამ ბოლო დროს განმტკიცდა, ეს დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. დაე ფაქტი იყოს, რომ საქართველოს არბევდენ მეზობელი ხალხები, მაინც იგი დამოუკიდებელი იყო და მთავარიც სწორეთ ეს არისო. ავტორი დიდის თანაგრძნობით იმეორებს მოხევის სიტყვებს—«ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნა» და დიდის გრძნობით ამბობს, რომ ეს სიტყვები საუკუნოთ დარჩა და ჩაინერგა მის არსებაში.

როცა გაისმა გარიბალდელების ბრძოლის ხმა იტალიაში, ილია აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს, მოხალისეთ წასვლაცკი უნდოდა თურმე, და სწერდა: «მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა» და ნატრობდა, რომ «ეს ხმა ტკბილი» გაეგონა თავის სამშობლოშიდაც.

ილია თავის მხატვრულ ნაწარმოებში დიდი ხნის განმავლობაში იცავდა რადიკალური ფორმით და შინაარსით ქართველ «მდაბიოთა»—ქართველ გლეხობის ინტერესებს, აღვიძებდა და ზრდიდა ნაციონალურ ეროვნულ გრძნობებს და ქადაგებდა საქართველოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენას.

არ არის მართალი იონა მეუნარგია, რომელიც ამბობს («ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან»—«მნათობი» № 5-6. 1936 წელი), რომ «უსახსრობის გამო ილიამ «საქართველოს მოამბის» გამოცემას თავი გაანება. მარცხენა გზით სიარულიდან რომ არაფერი გამოვიდა, ილია მარჯვენისაკენ გაემართა».. «ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცვალა»-ო.

ილიამ «საქართველოს მოამბის» გამოცემას თავი გაანება (ერთი წლის შემდეგ—1863 წლის ბოლოს) არა მხოლოთ უსახსრობის, არამედ უფრო საცენზურო პირობების გამო. რაც შეეხება ილიას «მარჯვენისაკენ» სიარულს და ლიბერალობის ოქროს ჯაჭვზე გაცვლას, მეუნარგიას სახეში აქვს ილიას სახელმწიფო სამსახური, როცა ის 1864-1874 წლებში დუშეთში მომრიგებელ შუამავლათ და მომრიგებელ მოსამართლეთ იყო.

მაგრამ ამ სამსახურის ზეგავლენით ილიას მისი ლიბერალობა და მემარცხნე აზროვნება არ მიუტოვებია. წინაალმდეგ, ილიამ სწორეთ სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს ბევრი მისი საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებიდან («გლახის ნაამბობი», «კაკო ყაჩაღი», «აჩრდილი», «ქართვლის დედა», «მესმის, მესმის», «მგზავრის წერილები» და სხვა), რომელთა მთლიანათ დაბეჭდვა წინა წლებში საცენზურო პირობების გამო ვერ მოახერხა, გამოაქვეყნა 1871 1872 წლების ჟურნალ «კრებულის» ნომრებში. ამავე წლებში ილიამ პირველათ დასწერა და ამავე ჟურნალში გამოაქვეყნა ისეთი რადიკალური შინაარსის ლექსები, როგორც «1871 წელი» (კომუნის დაცემის დღე), «პასუხის პასუხი», «რა ვაკეთეთ, რას ვშვებოდით» და სხ.

თუთხმეტი წლის განმავლობაში ილიას მემარცხნე მიმართულებისათვის თავი არ გაუნებებია და მას არავითარი კომპრომისები არ გაუკეთებია. «ოქროს ჯაჭვის» მასზე რაიმე გავლენაზე ლაპარაკი დიდათ უმართებულო იქნებოდა.

თუ შემდეგ ილია ზომიერებას იჩენს და რადიკალობას თავს ანებებს, აქ რაიმე ანგარებაზე ფიქრიც კი ყოვლათ უსაფუძვლოა. ამის მთავარი მიზეზი იყო ილიას მიერ იმ დროინდელი ხანის თავისებურათ შეფასება და აქედან შესაფერისი დასკვნების გაკეთება.

ილია 15 წლის განმავლობაში მემარცხენობდა და მეტათ რადიკალური შინაარსის ლექსებს, პოემებს და მოთხრობებს სწერდა და აქვეყნებდა. ამ მის მოღვაწეობის დროს მან მთელი თავად-აზნაურობა, რომელსაც ის სასტიკათ აკრიტიკებდა, გადაიკიდა. თავად აზნაურულ ინტელიგენციის დიდ უმრავლესობაში მას არ ქონდა არავითარი თანაგრძნობა და ის თავს განმარტოვებულათ გრძნობდა. «მდაბიო» ხალხი, რომლის ბედი და მომავალი მას ყველაზე უფრო აინტერესებდა და რომელსაც ის უგალობდა, არ იღვიძებდა, მისი არა ესმოდა რა, მას ვერ უსმენდა. გლეხთა აჯანყებების შესახებ, რომელსაც წინათ საქართველოში ხშირათ ქონდა ადგილი, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ბევრი რამ აღარ ისმოდა. ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ წოდებრივობა არ გაუქმებულა და თავად-აზნაურობას შერჩა მისი პრივილეგიური მდგომარეობა.

ხალხი მომქმედი და თავის თავზე მზრუნავი არსად ჩანდა. ის თითქოს შეურიგდა შექმნილ მდგომარეობას და ილიას ყველაზე უფრო ეს აფიქრებდა და აწუხებდა. 1872 წელს ილია დ. ერისთავს სწერდა: «ეგ ოხერი ჩვენი ისტორია მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე

საზოგადოებრივი მოძრაობის ყველა ფრონტზე გარღვევაა. საოქტომბრო დღესასწაულისთვის განახლებული ათასგვარი სოციალური შეჯიბრება—ჩამორჩენის, ოცი წლის სიკოტრის სრული მაჩვენებელია, ხალხის, მშრომელი მასებისა და ხელისუფლების გაყრის და დატაკების სრული სარკეა.

პ. სარჯველაძე.

◆

ზოგი რამ

დაღესტანის ქართველები განაგრძობენ თავის სასიქადულო მოღვაწეობას. ყველაზე მეტად. რასაკვირველია, ბ. ამირეჯიბი ცდილობს თავის ალის სიამოვნებას. ამ ხელათ ის უპასუხებს ირ. ცაგურიას, მარა, ისე, ცალყბად, სხვათა შორის, ნამდვილათ კი მთელ თავის შხამს ჩვენს პარტიაზე და მის მეთაურობაზე ანთხევს. ის გამოლმა იწყებს დავას, რომ გაღმა შერჩეს, მარა, ჩვენ სრულიად არ ვართ იმ განწყობილებაზე რომ მას რამე შევარჩინოთ.

მის და მისი პატრონის ბამატის წინააღმდეგ ირ. ცაგურიამ მეტად მძიმე ბრალდებანი წამოაყენა. ბუნებრივი იყო, რომ ხმას ამოიღებდენ, წამოყენებულ ბრალდებებს ასე თუ ისე პასუხს გასცემდენ, ისინი კი კრინტს არ ძრავენ, თითქოს არაფერი თქმულიყოს და თითქოს ეს თქმა მათ არაფერს ავალებდეს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ რომ მათი «სიჩუმე თანხმობის ნიშანია»!

რას სწერს მათ შესახებ ირ. ცაგურია? «კავკაზი»ს რედაქტორი ბამატი დაექირავა ოსმალებს და მას დაევალა ყოველივე საშვალებით ააფეთქოს კავკასიის ხალხების სოლიდარობის იდეა». «კავკაზი»ს ჯგუფის ოცნება იყო და არის თურქეთის ბაშიბუზუკების დახმარებით დაიპყროს კავკასია». «არ უნდა დავივიწყოთ რომ შ. ამირეჯიბი არის ოსმალეთის კონტრაზვეტკის აგენტის ბამატის სამსახურში, ხოლო ოსმალეთის კონტრაზვეტკა მუშაობს მოსკოვის ჩეკასთან ერთად» და სხ.

ეს მძიმე ბრალდებანი წამოყენებულია ღიათ, საჯაროთ. ესენი კი თითქოს არაფერი მომხდარიყოს—ძველებურად, მათებურად განაგრძობენ მასლაათს სხვადასხვა საკითხებზე და თან მენშევიკების და მათი მეთაურების ლანძღვა-გინებით ირთობენ თავს. და ისეთ გათახსირებამდის მიდიან რომ არც კი რცხვენიათ ისარგებლონ იმ ბინძური ცილისწამებით, რომელიც შეთხზა ჩეკამ ქართველი ერის მეთაურ ნ. ჟორდანიაზე და რომელმაც ასეთი საერთო აღშფოთება გამოიწვია ყველა რიგიან და პატიოსან კაცში და ორგანიზაციებში (იხ. «ბრძ. ხმა» № 16). ამირეჯიბმა კარგად იცის რომ ჩეკა თხზავს ყოველგვარ საზიზღარ ბრალდებებს თავის მოწინააღმდეგებზე და ამ საბაბით ხვრეტს კიდეც. მოიგონეთ ზინოვიევ კამენევის, რადეკ-პიატაკოვის, ტროცკის და სხვათა მრავალთა წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი ფაშისტების აგენტობაში, ჯაშუშობაში, ქვეყნის გაყიდვაში და სხ., რასაც ასეთი დაბეჯითებით ამტკიცებდენ ათას-გვარი დოკუმენტების და მოწმეების საშვალებით. მარა, ყველამ იცოდა და იცის რომ ეს დოკუმენტები ყალბია, მოწმეები—ცრუ მოწმეებია და არამც თუ სჯერათ ყოველივე ეს—პირიქით, ყველაში ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს. მას მხოლოდ ამირეჯიბები წამოჰკრავენ ხოლმე ხელს და მით სავსებით ააშკარავებენ თავის ზნეობრივ სიდუხჭირეს და პოლიტიკურ ვერაგობას.

ასე იქცევიან ეს ანტი-ნაციონალური ნაციონალისტები, რომლებიც თავის წმინდა მოვალეობათ სთვლიან დაეხმარონ ჩვენი ქვეყნის მტრებს იმ პარტიის დამარცხებაში და მისი მეთაურობის შებღალვაში, რომელიც ხერხემალია საქართველოს მთელი ანტიკომუნისტური მებრძოლი რაზმის და რომლის შესუსტება, უეჭველია, ნიშნავს მტრის საქმის გაკეთებას, ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ,—ეს, რასაკვირველია, სულ ერთია, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ამირეჯიბს არც იმის რცხვენია რომ გამოიყენოს ჩვენს წინააღმდეგ პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ცნობილია თუ რა მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ინტელიგენცია იქ, საქართველოში და რა უპატიოსნო საშვალებით იყენებენ მათ სახელებს, როგორ აიძულებენ მათ სთქვან ის, რის თქმაც არ უნდათ. და თუ ჯავახიშვილი, როგორც ამირეჯიბი ირწმუნება, საქართვ. მთავრობას დღეს «ყაჩაღურს» ეძახის, ეს, რასაკვირველია, გაახარებს კომუნისტებს, მარა ამირეჯიბს რაღა უხარია? რატომ უნდა ახარებდეს მას ის, რაც ახარებს ჩვენი ქვეყნის ოკუპანტებს? რა არის ეს—«სისულელე თუ ღალატი»?

ამირეჯიბი არწმუნებს თავის მკითხველს, რომ ირ. ცაგურიას «ბრძოლის ხმა»-მ გადასძახა და დააწერია ეს წიგნიო. გამოდის რომ ცაგურიას თავის ნებით, თავისი ჭკუით არ შეეძლო დაეწერა. არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, რასაკვირველია. ეს არის მხოლოდ დივერსია. ამით მას სურს მკითხველის ყურადღება სხვა რამეებზე გადაიტანოს და მით ნამდვილი ბრალდებანი დაფაროს და მიჩქმალოს.

ამირეჯიბი ისეა გატაცებული ჩვენი ლანძღვა-გინებით რომ ნეკროლოგშიაც ვერ ითმენს არ გვიკბინოს. ის სწერს ნეკროლოგს პ. იაშვილზე («კავკ.» № 46), რომელსაც დიდ დამსახურებათ უთვლის რომ ის პირველი შეხვდა წითელი დროშით თფილისში შემოსულ დამპყრობ ჯარს და შესაფერი სიტყვაც უთხრა. უწონებს რომ ოკუპანტების ხელიდან პირველ დღესვე მიიღო მწერალთა კავშირისათვის სარაჯიშვილის სახლი. მოსწონს რომ სხვამა სხვას სხვისი სახლი მისცა. ალბათ არ იცის რომ ამ სახლში შესვლაზე მართლა პატრიოტ მწერლებმა უარი განაცხადეს და არც არავის მიუნდვია იაშვილისათვის მწერალთა სახელით ამ სახლის მიღება ეთხოვა. ეს იყო მისი ჩვეულებრივი ავანტიურა, ავანტიურით დაიწყო, ავანტიურით ბაქიაობდა დღემდე და დაასრულა ისე, როგორც შეეფერებოდა. ამაზე იგლოვოს ამირეჯიბებმა, მებრძოლ საქართველოს შეუძლია არც კი შეამჩნიოს მისი ჯალათის მეხოტბის და კარის «პოეტის» ასეთი ბოლო!..

⁂

«კავკაზი» ფრანგულ ენაზედაც გამოდის. ბ. ავალიშვილს თავის ანტიქართული მოღვაწეობა აქაც გადაუტანია. ის ცდილობს დაარწმუნოს უცხოელები, რომ მუსულმანურ საქართველოში ყველაფერი ეკუთვნის მხოლოდ არქეოლოგიას და რომ იქ ქართულ პოლიტიკას ადგილი აღარ აქვს და ამ დებულების უკეთ დასამტკიცებლათ იშველიებს თურქების «სტატისტიკას», რომლის ძალით ამ ადგილებში «ერთი კაციც არ ლაპარაკობს ქართულად» («Le Caucase» № 4). ამ სიტყვების ავტორი ერთხელ პროფესორიც იყო, ყოველ შემთხვევაში ჩემობდა პროფესორობას და დღესაც ჩემულობს, ხოლო დღემდის ვერ გამოურკვევია უბრალო ლიგვინსტიური ამბავი—როგორ შეუძლია ხალხს, რომელიც ლაპარაკობდა ქართულად თავიდანვე, უცებ, 1927 წ. მას ეს დაევიწყებინოს და სხვა ენაზე გადასულიყოს. ასეთი სასწაული ჯერ ისტორიაში არ მომხდარა და თუ დღეს ბ. ავალიშვილი ამას ამტკიცებს, ცხადია, ასეთი მისი ქცევა აიხსნება არა სიმართლისა და მეცნიერების სიყვარულით, არამედ წმინდა ანტიქართული ღვარძლიანობით. ბამატი სხვანაირ სამსახურს არ მიიღებს.

⁂

«ახალი ივერია»-ში (№ 6) ბ. ალ. ცომაია ენერგიულად ილაშქრებს «კავკაზი»-ს რედაქტორის ბამატის და მისი ქართველი თანამშრომლების წინააღმდეგ, იმ საარაკო გულუხვობისათვის, რომელსაც ეს პირები იჩენენ ჩვენი ქვეყნის ნაწილების დაჩუქებაში. ბ. ცომაია გულახდილად აღიარებს რომ ამ ორგანოს გამოსვლას ჩვენ თანაგრძნობით შევხვდითო. სწორია. არამც თუ თანაგრძნობით—თანამშრომლობდენ კიდეც მისი მეთაურები. ჯერ კიდევ 1935 წ. ჩვენ დავბეჭდეთ («ბრ. ხმა» № 50) დოკუმენტი, რომელიც უდაოთ ამტკიცებდა ბ. ბამატის ანტი-ქართულ მუშაობას და ვაფრთხილებდით ემიგრაციას, მარა ამ გაფრთხილებით ჩვენმა «პატრიოტებმა» არ ისარგებლეს. და თუ ახლა, სამი წლის შემდეგ, «ახალი ივერია»-ს ჯგუფი კი დარწმუნდა ბამატის საქართველოსადმი სამტრო მუშაობაში—ესეც დიდი საქმეა. უკეთესია გვიან, ვინემ არასოდეს.

იმავე ნომერში ვინმე «ივერიელი» მეტად უკმაყოფილოა იმით რომ ისპანიის სამოქალაქო ომში მთელი ჩვენი სიმპატია და თანაგრძნობა მადრიდის მხარეზეა და არა ფრანკოს. «მაგრამო—სწერს ის—როგორც სჩანს ყველას ერთნაირად არ ესმის ქართველი და საქართველო და არც თავის მოვალეობა ქვეყნის წინაშე»-ო. სწორია. რომ ყველას «ერთნაირად არ ესმის»—ამის მაჩვენებელია თვით «ივერიელი»-ს წერილი. აბა, ჩვენი ქვეყნის რომელი ინტერესი მოითხოვს, რომ უთანაუგრძნოთ აჯანყებულ გენერალს, რომელიც უცხოელების და მავრების საშვალებით ანგრევს თავის სამშობლოს ქალაქებს, ანადგურებს ათას წლობით ისპანელი ხალხის შრომით დაგროვილ საუნჯეთ, ჟლეტავს გერმანელების აეროპლანებით უიარაღო სოფლელებს და სხ. როგორ ურიგდება «ახალი ივერიის» ახალგაზდა პატრიოტები იმ დებულებას, რომ გენერალს, თუ პოლიტიკურ მოღვაწეს შეუძლია უცხო ჯარებით შემოვიდეს თავის ქვეყანაში და თავის გასაბატონებლად მუსრი გაავლოს საკუთარ ხალხს?! თუ ეს მისაღებია, მაშინ გამართლებულ უნდა იქნას «შულავერის მთავრობა», რომელიც შემოვიდა ჩვენში რუსის ჯარის საშვალებით თავის გასაბატონებლად; გამართლებულ უნდა იქნენ ის თავადები, რომლებიც, უარყოფილი თავის ქვეყნის მიერ, გარბოდენ სპარსეთში თუ ოსმალეთში, შემოჰყავდათ იქაური ჯარი და ანადგურებდენ თავის ქვეყანას. უნდა ვიფიქროთ რომ ეს შეცდომა იმიტომ მოსდით ამ ახალგაზდებს რომ ჰგონიათ—ვინც კომუნისტების მტერია, ის უთუოთ ჩვენი მეგობარია. ეს შემცდარი აზრია და თან მეტად პრიმიტიული. მისი მიუდგომელი და ყოველმხრივი განხილვა დაარწმუნებს «ივერიელს» და მის მეგობრებს, რომ ჭეშმარიტი პატრიოტის გრძნობა და გონება უნდა იყოს იქ, სადაცაა ხალხი და მისი სუვერენობა და არას დროს და არას შემთხვევაში ინტერვენტების მხარეზე.

ამავე ნომერში მოთავსებულია ვინმე «ალფას» წერილი ნ. ჟორდანიას «ორი პოეტი»ს შესახებ. ამ ავტორს კრიტიკის სურვილი აღძვრია, მაგრამ სხვისი დაწერილის გაგების უნარი კი ერთავად დაჰკარგვია. ნ. ჟორდანია სწერდა ილიაზე—პოეტი და ბანკირი ქვეყანას არ მოსწრებიაო. ეს ახალი ივერიელი ამ დებულებას იმით შებრძოლებია რომ «პოეტი სახელმწიფო მოღვაწის როლში ყოფილა»-ო. ე. ი. ამ ახირებულ კრიტიკოსს ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია პოლიტიკური მოღვაწეობა საბანკო მოღვაწეობისაგან. რასაკვირველია, დიდი პოეტები პოლიტიკაშიაც ერეოდენ, მაგრამ არასოდეს ბანკის დავთრებს არ უჯდენ და მის მეთაურობას არ ტვირთულობდენ.

ამ ავტორს ისიც ჰგონია რომ ილიამ გაიმარჯვა და არ კითხულობს იმას თუ რომელმა ილიამ—ილიამ პოეტმა, თუ ილიამ პოლიტიკოსმა. ამ უკანასკნელმა არამც თუ გაიმარჯვა, სასტიკად დამარცხდა. ყველაფერი ის, რასაც ის საქართველოში ეყრდნობოდა ნაციონალურმა საქართველომ ხელაღებ უარჰყო. არც მისი ბანკი, არც მისი თავად-აზნაურობა, არც მისი ხიზნობა და აღარც მისი რუსეთის მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმი—ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რასაც ის სამიდღემჩიოთ აღიარებდა და ქადაგებდა. ხოლო რასაც ის თავის პოეზიაში ხატავდა—აი ამან მართლაც გაიმარჯვა, და გაიმარჯვა ისე, როგორც სხვა დიდმა მგოსნებმა...

გრ. ურატაძე.

◆

კლებერ ლეგეი საბჭოებზე

მუშათა ბარბაროსული ექსპლოატაციის უდიდეს სოციალისტურ მიღწევათ გასაღებაში ბოლშევიკები ერთობ დახელოვნებული არიან. სტახანოველთა მოძრაობაც ამ დახელოვნების წყალობით შრომის იდეალურ მეთოდათ საღდებოდა; მაგრამ ამ ბოლო ხანებში მათ ერთი დიდი უბედურება ეწვიათ. უცხოეთმა იწყო თვალის ახელა და რუსული მისტერიის გონიერი შემოწმება. მათ უფასო და კრიმინალურ ტყუილებს ბაზარი დაეკეტა; საზოგადოებაში მათი საქმიანობის გაგების და მიუდგომელი შეფასების სენმა დაისადგურა. სტახანოვიზმი მეტად ყალბი და უვარგისი საქონელი გამოდგა ევროპის ბაზარზე. მუშათა კლასმა მას კბილი გულმოდგინედ გაუსინჯა, აწონ-დაწონა, გარეცხა და შიგ კაპიტალისტური რაციონალიზაციის ყოვლად მახინჯი და ჩამორჩენილი ფორმა აღმოაჩინა. ფრანგულ პროფ. კავშირების ორგანო «Peuple»-ი 1936 წლის 18 იანვრის ნომერში სწერდა: «მაღაროელ სტახანოვის მეთოდი იგივეა, რაც უკვე ცნობილია რაციონალიზაციის სახელით. კაპიტალიზმმა კარგი ხანია ამ მიღწევით დაგვასაჩუქრა. ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია, თუნდაც რომ კომუნისტების რისხვა დავიმსახუროთ, განვაცხადოთ, რომ შრომის ამ მეთოდში სოციალისტური არაფერია»-ო. გასაგებია, ფრანგი მაღაროელების ამ საგნით დაინტერესება მით უმეტეს, რომ მისი გამართლება სოციალიზმის სახელით, ემუქრებოდა მათ მიღწევებს სოციალური უზრუნველყოფის და მაღაროთა კეთილმოწყობის დარგში. ამიტომ მისი შესწავლა და გამომზეურება იკისრა ჩრდილოეთ საფრანგეთის მემაღაროელთა ფედერაციამ თავის თავმჯდომარე მუშა კლებერ ლეგეის თაოსნობით. ამ უკანასკნელმა იმ თავითვე იცნო მისი რეაქციონური ბუნება და ამ ბუნების შესატყვისი კამპანია გამართა მის წინააღმდეგ ადგილობრივ გაზეთებში. მას მალე გამოეხმაურა საფრანგეთის დემოკრატიული და მუშური პრესა. დაზარალდა ბოლშევიკური პროპაგანდა, დაფრთხენ მოსკოვის ადგილობრივი აგენტები. ამხედრებულ მუშას მიმართეს რუსეთში გამგზავრების წინადადებით თავის «შეცდომაში» ადგილზე დასარწმუნებლად. ფიქრობდენ ადგილზე მისი მოქრთამვა-მოტყუება გაადვილდებოდა. განა ცოტა იყო ასეთი მაგალითი? ლეგეი სიამოვნებით შეხვდა ამ წინადადებას. ისარგებლა პირველი ხელსაყრელი პირობით და სხვა მაღაროელებთან ერთად გაემგზავრა, მაგრამ კომუნისტების იმედის კოშკი კი საფუძვლიანად დაანგრია. ის ვერც მოქრთამეს, ვერც შეაშინეს და ნახულით აღშფოთებულმა თავისი შთაბეჭდილებები მუშურ გულახდილობით გადმოალაგა ბროშურაში «ფრანგი მაღაროელი რუსეთში».

ხალხია, და ეს ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს, ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსად არი»-ო.

ილიას შეეძლო ეცადა ხალხთან ახლო მისვლა, მისთვის რადიკალური პროგრამის ქადაგება და მისი ამოძრავება და ამოქმედება. მაგრამ ის რადიკალური ხაზი, რომელიც ილიას მხატვრულ ნაწარმოებებში ქონდა აღებული, მისი აზრით, ეხლა საქართველოს აღარ გამოადგებოდა. მან არჩია. უფრო მიზანშეწონილათ ცნო ზომიერების და კომპრომისის გზაზე დამდგარიყო და მით ქართველი ერის ყოფა-ცხოვრება გაეუმჯობესებია და ის ნელ-ნელა წინ წაეწია. შედგა რა ილია კომპრომისის გზაზე, მისი პოეტურ-ბელეტრისტული ნაწარმოებების შინაარსიც ამიერიდან იგივე ვეღარ იქნებოდა, როგორც პირველ ხანებში იყო, თუმცა ამ მხრივ ილიას ნიჭის სიძლიერე და გაქანება სრულიადაც არ შემცირებულა; ამას მოწმობს მისი ორი საუკეთესო ნაწარმოები: «განდეგილი», რომელიც დაწერილია 1883 წელს და «ოთარაანთ ქვრივი» (1887 წ.). ილიას შეფასებით მისი პოეტობის და ბელეტრისტობის გაგრძელება ქართველ ერს იმდენ სამსახურს ვეღარ მოუტანდა, რამდენათ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიური ჩარევა და მოქმედება. პოეტობა-ბელეტრისტობა და პოლიტიკურ-საზოგადო მოღვაწეობა ერთდაიმავე დროს ქართულ პირობებში მეტათ ძნელი საქმე იყო და არ ხერხდებოდა. და მართლაც, ილია მთელი მისი მთლიანი არსებით გადაეშვა მუშაობაში და მთელი თავისი ნიჭი, დრო და ენერგია მოანდომა საზოგადო მოღვაწეობას და პუბლიცისტობას. ამით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ რომ ილიას—პოეტს და ბელეტრისტს წინეთ არასოდეს არავითარი კავშირი არ ქონებოდეს პუბლიცისტობასთან, ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოთ იმ ფაქტს, რომ ილია თავის მოღვაწეობის მეორე ხანაში თანდათან სტოვებდა პოეტობას და ბელეტრისტობას, დაბოლოს მიატოვა ის კიდევაც, და განსაკუთრებული აღტკინებით შეუდგა პუბლიცისტურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

როცა ილია 1875 წელს დასთანხმდა თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის დირექტორობაზე, მან კარგათ იცოდა, თუ რას შვებოდა და საით მიდიოდა. ამ ბანკის წესდების შემუშავებაში ილია თვითონ იღებდა მონაწილეობას და ეს წესდება მან დაამტკიცებია პეტერბურგის მთავრობას. წესდების უმნიშვნელოვანესი მუხლი ილიასათვის კი ის იყო, რომ ბანკის შემოსავლის დიდი მოზდილი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ქართველი ერის კულტურულ-განმანათლებელ საქმეებს. და ილიაც მთელი 30 წლის განმავლობაში თითქმის ყველა მთავარ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მეთაური და ხელმძღვანელი იყო.

ქართველთა შორის კულტურა-განათლების გავრცელება და ქართველი ერის სხვადასხვა წოდებათა მორიგება და ამ გზით მისი გაერთიანება გახდა ილიას მოღვაწეობის მთავარი საგანი.

ილია იყო რაციონალისტი და ისიც ფიქრობდა, რომ ქართველ ერში განათლებას, კულტურას ქართველი ინტელიგენცია შეიტანდა და ეს უკანასკნელი მას გაიყოლიებდა და წინ წაუძღვებოდა. ქართველი ინტელიგენცია კი იმ დროს, თითო ოროლა პირის გამოკლებით, თავად აზნაურულ წრეებიდან იყო გამოსული. «მდაბიო» ხალხს თავისი ინტელიგენტები და სწავლულნი არ ყავდა. ილიას აზრით ქართველ ერის სხვადასხვა წოდებათა და დასთა გაერთიანებაზედაც ამ თავად-აზნაურულ ინტელიგენციას უნდა ეზრუნა. მანაც ამის ქადაგება დაიწყო.

ილია წინეთ, როგორც მხატვარი, თავის ნაწარმოებებში მისი ნიჭის მთელი სიდიადით მშვენივრათ ასურათხატებდა წოდებათა შორის კონფლიქტს, ბატონის და გლეხის ერთმანეთისადმი დაპირდაპირებას და შეურიგებლობას («გლახის ნაამბობი», «კაკო ყაჩაღი», «აჩრდილი»). ილია პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე კი 1877 1881 წლებში ასეთ კონფლიქტს და შეურიგებლობას უარსყოფდა და ამბობდა: «წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება, რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელი განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობათ, ერთს დასად».

«გლახის ნაამბობში» ილიამ დაგვიხატა ტიპი ზნედაცემულ თავად დათიკოსი. იმავე «გლახის ნაამბობში», თუ მის ყველა სხვა მხატვრულ ნაწარმოებებში კი გლეხები ყოველგან მორალით და პატიოსნებით აღვსილ პიროვნებებათ ყავს გამოყვანილი. მაგრამ შემდეგ პუბლიცისტი ილია გვიმტკიცებს, რომ ზნეობის მხრივ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთს არ დაშორებიაო.

წინეთ ილია წოდებათა შორის კონფლიქტს ხსნიდა მათი მდგომარეობის სხვადასხვაობით: ერთნი იყვნენ უსაქმურნი და სხვისი შრომით ცხოვრობდენ, მეორენი კი მუდამ შრომობდენ და არაფერი ებადათ. შემდეგ კი ილია სწერდა: «წოდებათა განხეთქილების მიზეზი არა წოდებათა წყობა, მისი შინაგანი არსებაა, არამედ ავი გული და ავი თვალიო» («ცხოვრება და კანონი»). მაგრამ ეს «ავი გული და ავი თვალი» ხომ მათი მდგომარეობის ამ სხვაოასხვაობიდან მომდინარეობდა?

წინეთ ილია წოდებათა შორის ხიდს ჩატეხილათ სთვლიდა და გაბროს პირით («გლახის ნაამბობი») ის გვეუბნებოდა, რომ «უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება». შემდეგ კი ილია ამ ხიდის გამთელებას შესაძლებლათ სთვლიდა და ამის დასასურათებლათ 1887 წელს დასწერა თავისი უკანასკნელი მოთხრობა «ოთარაანთ ქვრივი», სადაც თავად არჩილს ათქმევინებს: «ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლათ იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ (წოდებათა კ.გ.) შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთიანებს».

ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ ილია მხატვარი ესწრაფოდა, «შრომის სუფევის» დამყარებას და «ძმობის, ერთობის, თავისუფლების» გაბატონებას («აჩრდილი»).

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, გლეხი მის მიერ ნაჭერი მიწების პატრონათ აღარ იცნეს. დაწესებულ იქნა «დროებითი ვალდებულების» ინსტიტუტი და ჩამოვარდა ლალით მეოთხედობა. ილია პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე ასეთ რამეს მეტათ სამწუხარო მოვლენათ სთვლიდა, მაგრამ ამ წესის შეცვლას რადიკალური ზომებით არ ფიქრობდა. მისი აზრით ეს ნაკლი უნდა გამოსწორებულიყო გლეხის და მიწის მფლობელის შორის «კეთილნებური მორიგებით». «დროებითი ვალდებულება» და მეოთხედობა უნდა შეცვლილიყო ხიზნების ინსტიტუტით. ილია განმარტავდა და ამბობდა: «რაკი, რომ სამწუხაროთ ჩვენდა, მიწა და ხელი განცალკევებულია, და რაკი ესეც ვიცით, რომ ამასთან ერთად მუდამ იქნება მიწის ამღები მუშა და მიწის გამცემი პატრონი, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ იმისთანა წესი ჩამოვარდეს მუშისა და მიწის პატრონის შუა, რომელიც ამ მიწისა და ხელის განცალკევების ბოროტებას ნაკლებ აგრძნობინებდეს. ჩვენის ფიქრით, ამისთანა წესი ხიზნების წესია» («ხიზნების საქმე»—1880 წ.).

სხვისი მიწის ხმარების ეს წესი არსებულ პირობებში ილიას საუკეთესო წესათ მიაჩნდა და ამაზე შორს ის არ მიდიოდა. ილია შექმნილ მდგომარეობას ეგუებოდა და მის გამოსწორებას «კეთილნებური» რეფორმების საშვალებით ცდილობდა.

ცვალებადი იყო ილიას პოზიცია, როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ საკითხშიდაც.

ილია მხატვარი თვითოეულ ქართველში მამულიშვილურ, პატრიოტულ გრძნობების გაღვიძებას და საქართველოს თავისუფლების და მისი სუვერენული უფლებების აღდგენას შინატროდა. მაგრამ საქართველო რუსეთის ბატონობის ქვეშ რჩებოდა და მისი განთავისუფლების პერსპექტივები არ იყო. შეწყდა აჯანყებები. ქართველი ერი თითქოს შეურიგდა მის დამონებას. თან 1881 წლიდან რუსეთში დიდი რეაქცია დაიწყო. ამ ხანებში ქართველი ინტელიგენცია არსებულ მდგომარეობასთან და პირობებთან შეგუების გზას ადგია.

რუსეთშიდაც რუსი ნაროდნიკები მთავრობასთან შეთანხმებას და მისი საშუალებით თავიანთ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას ფიქრობენ. ამ მიზნით ნ. ნიკოლაძე «ნაროდნაია ვოლიას» და რუსეთის მთავრობის შორის მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდა (1882 წ.).

მთავრობასთან შეგუების პოზიცია ეჭირათ ისეთ დიდ ქართველებს, როგორიც იყვნენ: გრ. ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები. ისინი ფიქრობდენ, რომ არსებულ ნიადაგზე დადგომით, მეფის ტახტის და რეჟიმის ცნობით, მისდამი სრული ლოიალური მოპყრობით და მასთან კარგი დამოკიდებულების ქონებით მათ საშუალება მიეცემოდათ ქართული ეროვნული კულტურის წინ წასაწევათ და ეროვნული მეობის დასაცავათ. ილია პოლიტიკურ მოღვაწემ და პუბლიცისტმა სწორეთ ამ უკანასკნელ მოსაზრებით შესცვალა მისი წინანდელი რადიკალური ხაზი ეროვნულ საკითხშიდაც და სხვებთან ერთად მეფის ტახტისადმი ლოიალურ დამოკიდებულების გზას დაადგა.

ილია ერთ თავის მიმოხილვაში (1882 წ.) სასტიკათ აკრიტიკებდა და ეკამათებოდა «მოსკოვსკაია ვედომოსტის» და მის სულის ჩამდგმელ კატკოვს, რომელიც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ «გადადგომას» და სეპარატისტობას წამებდა. ილია ამტკიცებდა, რომ ასეთი რამ მტკნარი სიცრუე და ქართველი ერის შეურაცყოფა იყო, რადგანაც ქართველობა ლოიალური გრძნობებით იყო აღვსილი და კატკოვი მხოლოთ დაბეზღებას ეწეოდაო.

რუსის ჯარის თფილისში 100 წლის შემოსვლის თავზე ილია აღწერდა (1899 წელს) იმ მეტათ მძიმე პირობებს, რომელშიდაც საქართველო ამ ჯარების შემოსვლის წინა ხანებში იმყოფებოდა; იგონებდა ყველა იმ უბედურობას, რომელიც მას საუკუნოების გასწვრივ თავს ატყდებოდა სპარსეთ-ოსმალეთის მხრივ და, განსხკუთრებით, აღნიშნავდა, რომ «რუსის ჯარის ჩვენში შემოსვლით ქართველ ერს დაუდგა ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა» და ის «გულწრფელად მიენდო თავის მომავა-

⁂

გამგზავრებისას დელეგაციამ რუსების აგენტებისაგან მიიღო მოულოდნელი გაფრთხილება: წინასწარ იცოდეთ, რომ იქ სამოთხე არ დაგხვდებათო. გამგზავრებამდი დაიწყო ბოლშევიკური ცბიერების ფარდის ახდის ოპერაცია, აქამდი ხომ მათ ყურებს უჭედავდენ რუსეთის სასწაულებრივ მიღწევებზე ქადაგებით. რუსეთის საზღვრებამდე მგზავრობა უისტორიოთ დასრულდა. საზღვარზე კი სტუმრები გულმოდგინედ გაჩხრიკეს და პასპორტებიც ჯიბიდან ამოაცალეს. ესეც რუსული სამოთხის სანუკვარი ნიმუში იყო. საბჭოების ქვეყანაში პირველი შთაბეჭდილება გულშემზარავი გამოდგა: ხალხი ფერმკრთალი, ჩაღლეტილი და ფეხშიშველი; ქოხები უმზგავსო; გზები მინგრეულ-მონგრეული ჰა ტალახიანი. ერთი სიტყვით აუტანელი სიღარიბის და მიუტოვებელი დაუდევრობის უტყუარი ნიშნები. მართალია ბოლშევიკებმა ცუდი მემკვიდრეობა მიიღეს, მაგრამ მოიგონეთ ომით განადგურებული რაიონები საფრანგეთში. იქ ხომ ათ წელიწადში ახალი ქალაქები აშენდა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ბოლშევიკები ხომ 20 წელია რუსეთს უკონკურენტოთ პატრონობენ!

⁂

სტუმრებისათვის იმთავითვე აშკარა შეიქნა, რომ მათი გეგმა ადგილების დათვალიერებისა რაღაც უჩინარ და გარდაუვალ დაბრკოლებებით დაიხლართა, მათი ვიზიტების გეგმის ამწყობი და დამწყობი ოფიციალური «მეგზურები და თარჯიმანები» გამოდგენ, ხოლო მათ პირველად მოსკოვის სარევოლიუციო მუზეუმი მიუჩინეს. ალბათ შთაბეჭდილების მოსახდენად! აქ ხომ ლენინისა და ბოლშევიკების გარდა ნახსენები არავინაა. მთელი ეს სამუზეუმო სიყალბე თვალში ეცემა ადამიანს, რომელიც ტროცკის ადგილის და დამსახურების ძიებას დაიწყებს. მისი კვალიც არსად სჩანს. ბოლშევიკების უბადრუკ ფანტაზიას მის ადგილზე ყველგან «დიდი სტალინი» დაუსვამს.

⁂

ავტორს განსაკუთრებული ყურადღება მიუპყრია სოციალური დაზღვევისათვის და აქაც იგივე შეურიგებელი წინააღმდეგობა აღმოუჩენია ბოლშევიკურ თეორიასა და პრაქტიკას შორის. მოსკოვის ხორცის კომბინატში მუშის საშუალო თვიური ხელფასი უდრის 200-220 მანეთს, რაც ცხოვრების აუცილებელ მინიმუმსაც არ წარმოადგენს. სტახანოველი აღწევს 500-1000 მანეთამდე, ხოლო მოხუცი მუშები და დედაკაცები ძლივს ღებულობენ 160 მან. კანონის ძალით 60 წლის შემდეგ, მუშას ეძლევა პენსია. ის განისაზღვრება უკანასკნელი ხუთი თვის ხელფასის საფუძველზე გამოანგარიშებული საშუალოს 60%. ამრიგად მოხუცი, რომელიც 160 მანეთს ძლივს აკეთებს მიიღებს წელიწადში 1.100 მანეთს, რაც ერთი თვის სარჩოს ძლივს წარმოადგენს. ამიტომ, გასაგებია, რომ კომბინატი სავსეა 60-70 წლის მუშებით, რომლებიც იძულებული არიან უკანასკნელ შესაძლებლობამდე სწიონ შრომის მძიმე ჰაპანი. მუშის ხელფასისათვის არ არსებობს არავითარი გარანტია, ან საარსებო მინიმუმი. ის დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ შრომის ინტენსივობაზე, რაც ასუსტებს და გადაშენების გზაზე აყენებს რუსეთის მუშათა კლასს. საზარელია ეს სურათი, დამალონებელი, მაგრამ ასეთია დღევანდელი რუსეთის სინამდვილე უცხოელისათვის მოხერხებულად მიჩქმალული. ამ სურათით დაღონებულ სტუმრებს მდიდრულად მორთულ სასტუმროში საღამოს წვეულება გაუმართეს. დარბაზი სავსე იყო საგანგებოთ გამოწყობილი ქალ ვაჟებით. საბჭოთა არისტოკრატიას რომ წარმოადგენენ. აქ აშკარად ტრიალებდა ფუფუნების და განცხრომის ატმოსფერა. მაღაროს მუშას მოაგონდა მისი მოძმე მუშები, განუწყვეტელი შრომით, რომ საარსებო მინიმუმსაც ვერ აკეთებენ და ნახევრად მშიერ-შიშველი ატარებენ უსიხარულო დღეებს და გული ბოლმით აევსო ამდენი ცბიერების და უთანასწორობის ურცხვად გამომზეურებით. ავტორის აღშფოთება ამით როდი გათავდა. ნადიმის დროს წარმოთქმულ სიტყვაში მისმა თანამგზავრმა ჰენაფმა განაცხადა: ბედნიერები ხართ თქვენ რუსეთის ამხანაგებო; სხვა მიღწევებთან ერთად თქვენ მოსპეთ უმუშევრობაც. ჩვენ კი, საფრანგეთში ორ მილიონ უმუშევარს ვითვლითო. ლეგეის დღესაც ვერ გაუგია ვის რად სჭირდება ასეთი მყვირალა სიცრუე და ან სად გამონახა ჰენაფმა ეს ციფრი! ეს მით უფრო ოდიოზურია, რომ ფრანგი სტუმრის ეს განცხადება ხელს უწყობს რუს მუშათა უვიცობა მორჩილებაში ყოფნას მის დღევანდელ მძარცველთა სასარგებლოთ.

⁂

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დელეგაციას მოუხერხებია დონის მაღაროებისკენ გამგზავრება. ტრანსპორტის იდეალური ორგანიზაციის წყალობით მას 12 საათის დაგვიანებით მიუღწევია გორლოვსკისათვის. მაღაროს მუშათა საავადმყოფოს დათვალიერების დროს ავტორის ყურადღება მიუქცევია ხარჯების ნუსხას. სტახანოვის მეთოდის შემოღებამდის 1951 მუშის მოვლაზე დახარჯულა 36.000 მან. შემოღების შემდეგ კი 1920 მუშაზე—106.000 მან. ხარჯის ასეთი ზრდა მეტად დამაფიქრებელია, რამდენადაც ის უბედური შემთხვევების კატასტროფიული გახშირების და შრომის ინტესივობის ზრდით მუშათა დასუსტება-დაავადების შედეგია. ყოველგვარი მოლოდინის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ მაღაროში ქალების შრომა ფართედაა გამოყენებული. არსად. არც ერთ ქვეყანაში ეს დაშვებული არაა და ავტორის შეკითხვაზე თუ რატომ უშვებენ ამას რუსეთში, ასეთი პასუხი მიიღო: ჩვენ დედაკაცებს ურჩევნიათ მაღაროში მუშაობა ფრანგ მუშათა ცოლების მზგავსად პროსტიტუციით დროს ტარებასო. აი, რა გაუგონარი ცბიერებით მართლდება საბჭოების ქვეყანაში ქალების უსაზღვრო ექსპლოატაცია. არც ერთ მძიმე სამუშაოზე მათი გამოყენება აკრძალული არაა და ხშირად ორსული დედაკაცებიც ეწევიან ფიზიკურ შრომის მძიმე უღელს. შრომის სისტემიდან გამორიცხულია აგრეთვე ყოველგვარი მორალური ზომიერება. მუშაობის დამთავრებისას ორივე სქესის მუშები სრულიად შიშველი ერთად იბანენ ტანს, რაც ეწინააღმდეგება ელემენტარულ ეთიკის პრინციპებს. არსად, არც ერთ ქვეყანაში მუშის სინდისი ასეთ გამათახსირებელ და დამამცირებელ სურათს არ შეურიგდება და მართლაც რომ ბოლშევიკური მაკიაველობაა საჭირო ამ ზნედაცემულობის სათნო პრინციპად გასასაღებლად. სუსტი სქესის წარმომადგენელთა ხელფასი დღიურად 5 მანეთს არ აღემატება, რადგან შრომა სანარდო პრინციპზეა აგებული, ძალისა და გამძლეობის უმაღლეს ფლანგვას რომ მოასწავებს. ნახევარი საუკუნე იბრძოდა ევროპის მუშათა კლასი ამ პრინციპის მოსასპობად და როგორც იქნა მიაღწია მიზანს. კაპიტალისტური ექსპლოატაციის ეს ყველაზე უხეირო ფორმა დღეს უდიდეს სოციალისტურ მიღწევად საღდება საბჭოების ქვეყანაში! ცნობის მოყვარე მუშამ, როგორიც ჩვენი ავტორია, აღმოაჩინა, რომ კომუნისტური პრინციპი არაა ყველას მისი საჭიროების მიხედვით, არამედ ყველას მისი დამსახურების მიხედვით. მუშა ტყავიდან გამოძვრება, მეტს იმუშავებს—მეტს მიიღებს. ეს, როგორც სჩანს სტალინის ბრძენი გონების უკანასკნელი გამოგონებაა! არ კმარა მუყაითობა და სიბეჯითე შრომის პროცესში; საჭიროა ფენომენალური ძალა, რომ ზოგი სტახანოველის მიერ დაწესებული ნორმა გააკეთო. თუ ეს ძალა არ გაგაჩნია მით უარესი შენთვის. ჭამა და ცხოვრება არ გიწერია!

⁂

უთანასწორობის პრინციპი არც მაღაროებში ჰკარგავს თავის ძლიერებას. აქაც დაწესებულია ხელფასის ათი განაკვეთი—3 მანეთიდან 10 ნახ. მანეთამდე დღიურად ერთი და იმავე სამუშაოსათვის! ხელფასს გარდა არავითარი საოჯახო დახმარება სოციალური დაზღვევის ორგანოებიდან. სახელმწიფო კისრულობს უმნიშვნელო დახმარებას მრავალრიცხოვან ოჯახებისათვის მხოლოდ მეექვსე ბავშის დაბადების შემდეგ. მაღაროს მუშაც პენსიას 60 წლის შემდეგ ღებულობს. როგორც ყველგან, მისი რაოდენობა განისაზღვრება უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში მიღებული ხელფასიდან აღებული საშვალოთ 60 პროც. როგორც ვხედავთ, აქაც საფუძვლად აღებულია ხელფასის ყველაზე დაბალი დონე, რამდენადაც 30 წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ (რაც აუცილებელი პირობაა პენსიის მისაღებად) 60 წლის მოხუცი უკანასკნელ ხუთ თვეს გაცილებით სუსტად მუშაობს და ხელფასსაც ნაკლებს იღებს. მოხუცი რუსი მუშა მართლაც რომ უმწეოა, ფრანგ მაღაროელთან შედარებით. ამ უკანასკნელის პენსია უდრის საერთოდ მიღებული ხელფასის 75 პროც. და იწყებს მისით სარგებლობას 50 წლის შემდეგ. ე. ი. რუს მუშაზე ათი წლით ადრე. ამასთან ერთად მხედველობაში მისაღებია მიღებული თანხის ყიდვითი უნარი, მაგრამ ვნახოთ ციფრები: რუს მაღაროელის საშუალო თვიური ხელფასი უდრის 350 მანეთს, ფრანგის—2.000 ფრანკს. ამ თანხით პირველს შეუძლია შეიძინოს ერთი პალტო, ან ერთნახევარი წყვილი ფეხსაცმელი, ან რვა პერანგი და სხ. მეორეს—6 თუ 7 პალტო, ან 25 წყვილი ფეხსაცმელი, ან 50 პერანგი და სხ. როგორც აქიდან სჩანს, მუშის ექსპლოატაცია «პროლეტარულ» ქვეყანაში ბურჟუაზიულ ქვეყნებისათვის მიუღწეველ დონეზეა, მაგრამ ვალაპარაკოთ ისევ ციფრები. რუსი მუშა შრომობს 5 დღეს და ისვენებს მეექვსეს. ამ რიგად ის მუშაობს წელიწადში 301 დღეს, 6 დღეში 40 საათის მუშაობით და დღის დასვენებით ფრანგი მუშა—წელიწადში 251 დღეს, კვირაში 38-40 საათს ორი დღის დასვენებით. ამ ციფრებს განმარტება არ სჭირდება. ისინი მჭერმეტყველურად ლაღადებენ რუს მუშის ბარბაროსულ ექსპლოატაციაზე. «სწორედ ვერ გამიგია—ამბობს ლეგეი—რატომ ასე ატყუებდენ ჩვენ ამხანაგებს მაშინ, როდესაც სინამდვილეში ყველგან და ყველაფერში, რუსი მაღაროელები 50 წლით მაინც არიან ჩამორჩენილი ჩვენზეო». რუს მუშას აღკვეთილი აქვს მდგომარეობის გამოსწორების ყველა გზები. ხელფასის გაუმჯობესებაზე ზრუნვაც ხომ ობიექტურად გამორიცხულია. მაღაროს ბიუჯეტს წინასწარ იმუშავებს დირექცია. იქ ზუსტად განსაზღვრულია წლიური ხარჯები მაღაროს კეთილმოწყობის და ხელფასის სახით. ბიუჯეტს ამტკიცებს მუშათა საზოგადო კრება. თუ ხელფასი დაბალია, მისი მომატება უნდა მოხდეს კეთილმოწყობის ხარჯზე, რაც ისედაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ მაღაროებს უფრო დააზიანებს და უეჭველ კატასტროფით დაბოლოვდება. ამიტომ საზოგადო კრება იძულებულია ბიუჯეტი უცვლელად მიიღოს. სწორედ რომ სანატრელი შრომის პირობებია! მაღაროები გამუდმებით განიცდიან დაგუბებული გაზის აფეთქების საშიშროებას და ზომების მიმღები არავინაა, ხოლო კატასტროფის შედეგად სრულიად უდანაშაულო ხალხი იხვრიტება. არც ერთი ჭკუათმყოფელი ევროპიელი ასეთ მაღაროში მუშაობას არ შეურიგდება და რაც მთავარია, არც ერთი გონიერი ხელისუფლება მას არ დაუშვებს. სჩანს რუსი მუშებიც ასე აფასებენ მდგომარეობას, რადგან მაღაროს მიდამოები და თვით ჭა სავსეა შეიარაღებული ხალხით! რა საქმე აქვს ამ ხალხს მაღაროსან და რა ფუნქციას ასრულებენ ისინი? ევროპის არც ერთ ქვეყანაში და მათ შორის არც გერმანიაში და იტალიაში, მაღაროებში მუშაობა ასეთ საალყო წესებით არ მიმდინარეობს. გასაგებია ვის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული ეს შეიარაღებული ძალა.

⁂

მუშა-მაღაროელმა თავის რუს მოძმეთა მდგომარეობა შეაფასა იქაურ სინამდვილის სინათლეზე, ყოველგვარი კაზუისტიკის გარეშე და აუტანელი ჯოჯოხეთი აღმოაჩინა. ის მით უფრო აღშფოთებულია, რომ ეს ჯოჯოხეთი უცხოეთის მუშებში იდეალურ მიღწევად საღდებოდა და ისინი შეგნებით შეცდომაში შეჰყავდათ. ვის სჭირდება ამდენი სიცრუე და ცბიერება? რასაკვირელია, საბჭოთა არისტოკრატიას, ალვირ-აღსნილ ბიუროკრატიის ქერქში რომ გახვეულა და მასის უბედურებაზე თავის განცხრომას აშენებს. სოციალიზმი ჰკარგავს თავის მიმზიდველობას და იშლება პროგრესიულ იდეათა ცხოველმყოფელ სისტემიდან. ამ საძაგლობას რომ ხელს აფარებს და დაუზოგავად არ ებრძვის. მისი შინაარსი ადამიანისათვის ისტორიულ ბრძოლების პროცესში დაკარგული თვითღირებულების დაბრუნებაა, ხოლო საშუალება სიმართლე და სინდისიერება. ავტორი ბელგიელ კომუნისტების თავდასხმას ასე უპასუხებს: «სიმართლე რომ დამემალა, უეჭველია მე ჩემს ცხოვრებას პატივისცემასა და ნივთიერ უზრუნველყოფაში დავამთავრებდი. განა ცოტაა ასეთი მაგალითი? მაგრამ მე არ მსურს მატყუარებს გვერდში ამოვუდგე და მირჩევნია უმწიკვლო დავრჩე ბოლომდეო».

კლებერ ლეგეის სოციალისტურ-მუშური სინიდისი აამხედრა ნახულმა სინამდვილემ და მის შესახებ გავრცელებულმა სიყალბეებმა. მათი გულახდილი მხილებით იგი ამაგრებს დემოკრატიული სოციალიზმის საქმეს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ადამიანთა ურთიერთობის სფეროში უმაღლეს სიმართლის და ეთიკის დასაწყისთა რეალური განადებაა.

ვალ.

◆

შეცდომის გასწორება

«ბრ. ხმა»-ს წინა ნომერში დაბეჭდილ წერილში—ანდრე ჟიდი და ვილლი შლამი—მესამე გვერდის უკანასკნელი სვეტის მე-36 პწკარზე დაბეჭდილია: წარმოება წარმოებისათვის და მუშათა საკეთილდღეოთ; უნდა იყოს: წარმოება წარმოებისათვის და არა მუშათა საკეთილდღეოთ. იქვე—გრანდიოზულს შთაბეჭდილებას, უნდა იყოს—გრანდიოზულის შთაბეჭდილებას.

◆

რედაქციისაგან. გაზეთი უკვე დასაბეჭდათ მზათ იყო, როცა მოვიდა ცნობა მაკდონალდის გარდაცვალების შესახებ. ნეკროლოგი მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

◆

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული
უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
C. Gvardjaladzé
4, rue Marguerite 4.
Sceaux. (Seine)

ლსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთა შესხმული»-ო.

ილია რუსეთისადმი გულწრფელათ იყო ლოიალურათ განწყობილი. მას ეშინოდა, რომ საქართველო მარტო თავის თავის ამარად მიტოვებული ხელახლათ გახდებოდა სპარსეთ-ოსმალეთის საჯიჯგნელი ობიექტი და ომიანობის ასპარეზი. ის ფიქრობდა, რომ საქართველო რუსეთს უნდა შეფარებოდა, მის მთავრობასთან კარგი განწყობილება ქონებოდა და ამ გზით ბევრ რამეებსაც მიიღებდა.

1910 წელს არჩილ ჯორჯაძე სწერდა, რომ «ილია ჭავჭავაძე ამაყობდა თავის ერთგულებით და საჯაროთაც აცხადებდა თავის ლოიალურ გრძნობებს. ამ სტრიქონების დამწერს (ამბობს ჯორჯაძე) ერთ საუბრის დროს მეუბნებოდა ხანსვენებული ილია,—ახალმა თაობამ კარგათ უნდა დაიხსომროს ერთი რამ, ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიულ პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება, რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ, რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ, ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო» («ავათმყოფი საზოგადოება»).

ილიას სწამდა, რომ «სახელმწიფო ერთობას არ უშლის არც რჯულის და არც ერის სხვადასხვაობა», რომ «მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალათ მაცხონე მოხელეებიც კი დაინახავენ, რომ ჩეხს შეუძლია თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდესო» (1881 წ.).

ილიას ეს სიტყვები მიმართული იყო იმ რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში იყვნენ რუსეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი და სასტიკ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ეწეოდენ და ქართველ ერს გადაგვარებით და გაქრობით ემუქრებოდენ. ყველაფერ ამის მიზეზათ ილია სთვლიდა იმდენათ არა რუსეთის მართველობის სისტემას და ცენტრალურ მთავრობას, არამედ უფრო რუს მოხელეებს, რომელთა «მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალღონე, კეთილდღეობა და წარმატება»-ო. ესე იგი ილია პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე იმას კი არ სთვლიდა უბედურებათ, რომ საქართველო რუსეთის ფარგლებში იყო მომწყვდეული და აქედან მომდინარეობდა ყველა ბოროტება, არამედ სასტიკათ აკრიტიკებდა რუს ჩინოვნიკობის ქართველებისადმი მოპყრობას, გმობდა მათ რუსიფიკატორულ პოლიტიკას და მოითხოვდა მათი ამ დიდი ნაკლის გამოსწორებას.

ილიას მთავარი საზრუნავი საგანი იყო ქართველ ერს მისცემოდა შესაძლებლობა მისი შინაური და ადგილობრივი საქმეები თავის დედა-ენის შემწეობით მოეწყო და ეწარმოებია, ამით მისი მეობა დაეცვა და ის კულტურულათ წინ წაწეულიყო.

ამბობენ, რომ გრ. ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის და გაბრიელ ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ ილია მთელ საქართველოში პირველ კაცათ ითვლებოდაო. და მართლაც, ილია დიდი კაცი იყო. იშვიათია პიროვნება ისეთი მთლიანი ბუნებით და ჯილდოვებული, როგორც ილია იყო. დიდი ნიჭის და ცოდნის პატრონი ის ქართველ ერს 50 წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგში და სფეროში ემსახურა. ილია იყო პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ორატორი, გაზეთის რედაქტორი, წერა-კითხვის გამავრცელებელ და დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე, სათავად-აზნაურო შკოლების გამგეობის წევრი და თავმჯდომარის ამხანაგი, ბანკის დირექტორი და სხვა. მისი ღვაწლი, მისი კულტურტრეგერობა საქართველოში უბადლო იყო.

მაგრამ რაგინდ დიდი არ იყოს ესა თუ ის პიროვნება, მისი შესაძლებლობა მაინც განსაზღვრულია დროთა ვითარებით და ამა თუ იმ პირობებით.

ილია ცხოვრობდა და მოღვაწეობა უხდებოდა იმ დროს, როცა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება განუვითარებელი იყო და ქართველი ხალხი, უმთავრესათ, მიწის მეურნეობას ეწეოდა და ამით თავს ირჩენდა.

ილიას აზრითაც, «ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდევაც»; «ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული»-ო.

ილიას დროის საქართველო, მართლადაც, პატრიარქალური ქვეყანა იყო, რომლის სხვადასხვა ნაწილები ერთიმეორესთან ეკონომიურათ გადაბმული და დაკავშირებული არ იყო, არც ქართველი ერი იყო ფსიქოლოგიურათ მთლიანი.

როცა შემდეგ ილიას მომყოლი თაობა—«მესამე დასათ» წოდებული—გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, მან გარკვევით და ნათლათ დაინახა ის, რასაც ძველი თაობა ვერ ხედავდა: ძველი პატრიარქალური ცხოვრების თანდათანობითი რღვევა და კარჩაკეტილობის მოსპობა, მის ადგილას ვაჭრობა-მრეწველობის ნელ-ნელა ფეხის მოკიდება, საქართველოს ეკონომიურათ გაერთიანების წინსვლა, მისი გაევროპიელების გზაზე შედგომა, წოდებათა და კლასთა ერთი მეორესადმი დაპირდაპირება და ქართველი მშრომელი ხალხის პოლიტიკური გამოღვიძების დიდი პერსპექტივები.

ქართველი ერის ეკონომიურათ გამაერთიანებელ ობიექტიურ პროცესს უნდა მოყოლოდა მისი სუბიექტიურათ გამაერთიანებელი პროცესიც. და აი ქართველი ხალხის ამ სუბიექტიური გაერთიანების ხელის შეწყობა, მისი პოლიტიკურათ გამოღვიძება და საზოგადო ასპარეზზე მისი სამოქმედოთ გამოყვანა მიზნათ დაისახა «მესამე დასელებმა».

ხალხის ამოძრავებას კი ხელს შეუწყობდა ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების რადიკალური ფორმით დასმა და წამოყენება.

«მესამე დასელები» არ ეთანხმებოდენ ილიას—პოლიტიკურ მოღვაწეს უმთავრესათ სოციალურ საკითხების სფეროში. ისინი არ იზიარებდენ გლეხთა საკითხში ილიას პოზიციას, რომელიც ხიზნების ინსტიტუტის შემოღების უფრო შორს არ მიდიოდა. მუშათა საკითხს, როგორც ვიცით, ილია სრულიად არ აყენებდა, რადგანაც ის მუშათა კლასის არსებობას საქართველოში არც კი ცნობდა.

ეროვნულ საკითხში ილიას და «მესამე დასელების» შორის დავა და კამათი არ ყოფილა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას იმ დროს არც ილია—პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე და და არც «მესამე დასელები» არ მოითხოვდენ. ქართულ ენას, ქართული ერის მეობას კი ორივე მხარე დიდის სიბეჯითით იცავდენ და პეტერბურგის რუსიფიკატორულ პოლიტიკას სასტიკათ ებრძოდენ.

ძველ და ახალ თაობათა შორის აზრთა სხვადასხვაობა აგრეთვე არსებული პოლიტიკური რეჟიმის გამო იყო. ახალი თაობა წინააღმდეგ ძველებისა მეფის რეჟიმს არ ურიგდებოდა, მისგან არავითარ დათმობებს და შეღავათს არ მოელოდა. ეს ნათლათ დამტკიცდა მეფის ტახტისადმი მეტათ ლოიალური ქართველი დიმიტრი ყიფიანის მკვლელობით (1887 წ.). როცა დიმ. ყიფიანმა ქართული ენის და ქართველობის დევნა ვერ მოითმინა და პროტესტი განაცხადა, ამისათვის მეფის აგენტებმა მას ქურდულათ თავი გაუჩეჩქვეს. ახალი თაობა აბსოლუტური რეჟიმის რადიკალურათ შეცვლას მოითხოვდა.

ერთი მხარე იდგა არსებულის ნიადაგზე და მის შეკეთებას მოითხოვდა, მეორე მხარე კი არსებულს უარსყოფდა, დემოკრატიული და სოციალისტური ორიენტაცია ქონდა აღებული და ამ მიმართულებით მოღვაწეობდა.

მართალია, ახალი თაობა უწუნებდა ილიას მისი მოღვაწეობის ერთ მეტათ თვალსაჩინო ნაწილს, მაგრამ ამავე დროს ის არასოდეს არ ივიწყებდა იმ დიდ სამსახურს, რომელიც ილიას გაუწევია ქართველი ერის და თვით ამ ახალ თაობისათვის.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც, როგორც მეთაური მისი თაობისა, ებრძოდა ძველ თაობას—«მამებს» და მათ ხელმძღვანელს გრ. ორბელიანს და ბევრ რამეში ამ უკანასკნელის აზრებს არ იზიარებდა, 1883 წელს მის საფლავის წინაშე კი ამბობდა, რომ ის აფასებდა გრ. ორბელიანს იმდენათ, რამდენათ «იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო «მეუფე» ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ—სასოებით მისი მსმენელნი».

მგზავსათ ამისა «მესამე დასელების» სახელით ილიას საფლავის წინაშე 1907 წელს კარლო ჩხეიძე ამბობდა: «შენმა მგოსნური ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალგაზდობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზდობისათვის, სხვათა შორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ»... «რამდენადაც შენი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას... , რამდენადაც შენ გაალვიძე ჩვენ ახალგაზდა ბუნებაში გრძნობები, რომელნიც აუცილებლივ საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელათ ვემსახუროთ სოციალიზმის დიად მომავალს, სწორედ ამდენათ, გვსურს ჩვენ უკვდავი იყოს შენი სახელი».

ამას ეხლა ემატება აგრეთვე ის, რომ 1907 წლის შემდეგ საქართველოში ბევრი მეტათ საყურადღებო ამბები მოხდა. საქართველომ რუსეთის 117 წლის ტყვეობიდან თავი გაინთავისუფლა და 3 წელი დამოუკიდებელათ იარსება. დღეს, როცა საქართველო ხელახლათ რუსეთის ტყვეობაშია და მთელი ქართველი ერი მტრის უღლისაგან განთავისუფლებას მოითხოვს, ილია მხატვარი, ავტორი «გლახის ნაამბობის», «კაკო ყაჩაღის», «აჩრდილის», «მგზავრის წერილებისა» და სხვა მუდამ იქნება უკვდავი ქართველთა ყველა თაობებისათვის.

მოხსენების შესახებ გაიმართა საინტერესო კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ამხანაგების მთელმა რიგმა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville*

Le Gérant : René Toussaint.